პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 267 (20613) ◆ სამშაბათი, 21 ნოემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ახალი დროის ნიშნით

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

როგორ მომავალში შევაბიჯებთ ხვალ? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შევძლებთ საბოლოოდ განვსაზღვროთ: გვინდა თუ არა ამიერიდან ვიცხოვროთ სიმართლით, თუ კვლავ ვაპირებთ ძველებურად უბადრუკ ადამიანისათვის უღირს არსებობას სიცრუესა და ტყუილნარევ სიმართლეს შორის. ერთი რამ, ალბათ, უდავოა: იოლი გზა აქ არ შეიძლება იყოს. უნდა ჩავყაროთ საძირკველი, რომლის სიმტკიცე, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მიუკერძოებლად და ობიექტურად შევძლებთ აღვადგინოთ ჩვენი რთული ისტორიის თითოეული ფურცელი.

სხვაგვარად არ შეიძლება — მომავლის საძირკველი უნდა იყოს არა მარტო დღევანდელი, არამედ წარსულის სიმართლეც. ამ წარსულის შეფასება კი ყოველთვის როდი იყო ერთმნიშვნელოვანი და, რაც მთავარია — ობიექტური. ისტორიული პროცესებისა და მოვლენების ხელახალმა გააზრებამ, ჭეშმარიტების დადგენამ, განვლილი გზის სწორმა გააზრებამ უნდა გაგვიადვილოს ჩვენს წინაშე ამჟამად მდგომი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-კულტურული პრობლემების გადაჭრა, საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის რეალიზაცია.

აი რატომ არ დაუტოვებია არავინ გულგრილი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხთა კომისიის ინფორმაციამ, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ალექსანდრე ალექსიძემ. ასეთმა რეაქციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იმ მოვლენებისადმი, რომლებმაც ოციანი წლების დამდეგს ასე მკვეთრად შეცვალეს საქართველოს ცხოვრებისა და განვითარების მიმართულება. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში, ბოლოს და ბოლოს, გაჩნდა ამ მოვლენათა ობიექტურად შეფასების რეალური შესაძლებლობა. ეს აისახა კიდეც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარგზავნილ სახალხო დეპუტატთა განცხადებაში.

კომისიამ უდიდესი მუშაობა გასწია. თავიდანვე მისი წევრებისათვის ნათელი იყო, რომ მათ წინაშე დასახული ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ფართო წრის საკითხებისა და დოკუმენტების შესწავლას, რომელთაგან მრავალი დღემდე საერთოდ არ ყოფილა კვლევის საგანი. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად დაძაბული პერიოდის შესახებ უამრავი ისტორიული მასალა. საქართველოს ბედი წყდებოდა ურთულეს ვითარებაში, რუსეთის, ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ინტერესების შესაყარზე. ამიტომ მაშინდელი სურათის აღსადგენად საჭირო იყო ყოველმხრივ შეგვესწავლა და გულდასმით გაგვეანალიზებინა ვრცელი მრავალენოვანი დოკუმენტაცია, რომელიც ინახება არა მარტო საქართველოსა და სსრ კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებშიც. საკმარისია ითქვას, რომ საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების არქივებში კომისიის წევრების მუშაობის შედეგად მიღებული მასალა ათობით ტომს შეიცავს. კომისიის დასკვნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ხელშეკრულების დადებამდე და მის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის იმდროინდელი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობის ანალიზს. თვით 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დახასიათებულია, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტი, რომელშიც აისახა რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპები.

კომისიის დასკვნიდან: „...საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია“.

რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის, რომლებმაც ეს ამბები ვიცით საყოველთაო „კეთილდღეობის, აყვავებისა და ერთსულოვნების“ პერიოდში შექმნილი სახელმძღვანელოებიდან, ასეთი შეფასება ჭექა-ქუხილად გაისმის, მაგრამ ეს ჭექა-ქუხილი განმწმენდი, გამაკეთილშობილებელია, რამეთუ მხოლოდ სიმართლეს შეუძლია აიყვანოს ადამიანი მისი პატიოსნებისა და ღირსებისათვის შესაფერის სიმაღლეზე. ასეთი სულისკვეთებით იყო სწორედ გამსჭვალული შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ინფორმაციის განხილვის დროს გამოთქვეს დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ელდარ შენგელაიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ აკაკი სურგულაძემ.

სესიამ მოიწონა კომისიის დასკვნა. გადაწყდა დაისვას აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე.

...9 აპრილი. რამდენ გლოვის დღეს ითვლის წელიწადში ჩვენი გმირული და ამავე დროს დრამატიზმით აღსავსე ისტორია? ჩვენ არ გაგვაჩნია ასეთი სამგლოვიარო სტატისტიკა. თუმცა მემკვიდრეობით მეხსიერებას მკაფიოდ აღუბეჭდავს სამშობლოს ძნელბედობის გზებზე დაღუპულ მამულიშვილთა ყოველი საფლავი. ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მათი სული მომდევნო თაობებში ცოცხლობს. ახლა ხსოვნის კალენდარზე გაჩნდა ცხრა აპრილიც, რომლის ტრაგიკული მოვლენები გაუქარვებელ ტკივილად ჩაგვრჩა გულში. მაგრამ საყოველთაო გლოვამ და მწუხარებამ ამასთანავე მძლავრი იმპულსიც მიანიჭა ერის კონსოლიდაციას, სწორედ ერის ნებით შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელიც ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებულ გარემოებებს იკვლევდა.

ამ კომისიის დასკვნა ცნობილია. იგი, ისევე როგორც გამოძიების მთელი მიმდინარეობა, რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა. ვინაიდან კომისიის თავმჯდომარე თამაზ შავგულიძე ამ დროს სამსახურებრივ მივლინებაში იყო, კომისიის დასკვნა სესიას წარუდგინა მისმა ერთ-ერთმა წევრმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ელდარ შენგელაიამ.

აი, რა წერია დასკვნაში: „ტრაგედიის ყველა გარემოების გათვალისწინებით კომისიამ შემდეგი სახის საბოლოო დასკვნა გამოიტანა: „9 აპრილს თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულის, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს“.

ორატორებმა თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვეს კომისიის დასკვნის ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით, ამასთან ერთსულოვნად განაცხადეს: 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამოძიების უმაღლესი მიზანი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მომავალში არსად და არასდროს არ განმეორდეს ასეთი რამ.

დეპუტატებმა მოიწონეს წარმოდგენილი დასკვნა. ცნობად არის მიღებული, რომ იგი გადაეცემა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის შესაბამის კომისიას.

გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ: ახლანდელი სესიის დღის წესრიგი მაქსიმალურად შინაარსიანი იყო, და საქმე მარტოოდენ განსახილველი საკითხების რაოდენობა ხომ არ არის, მთავარია მათი მნიშვნელობა და აქტუალურობა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნა-განახლების ამ რთულ ეტაპზე. ეს არის დეპუტატთა მიერ ერთსულოვნად მიღებული დადგენილებანი საქართველოს სსრ მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის შემოღების, ეროვნული ჯარის ფორმირების აღდგენისა და რესპუბლიკის ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის შესახებ, რესპუბლიკაში მიმდინარე იმიგრაციული პროცესებისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებების და შეცდომების აღკვეთის, საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების შესახებ, ეს არის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი, რომ შეიქმნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ახალი მუდმივი კომისიები რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, ეს არის იმ კომისიების შექმნა, რომლებიც შეიმუშავებენ საქართველოში რეფერენდუმის მოწყობის წესს, საქართველოს სსრ ენის კანონპროექტს, შეისწავლიან მოქალაქეთა ჯგუფის მრავალი წლის საჩივრებს და, ბოლოს, შეისწავლიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით აძრულ საკითხებს. სხვათა შორის, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნა თავის გამოსვლაში დეპუტატმა ბაგრატ ტეხოვმა, მთავარია არა თვით სტატუსი, არამედ საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა. დღესდღეობით კი იგი ისეთია, რომ ჩვენ ყველას გვმართებს ძალისხმევის მაქსიმუმი, რათა აღმოვფხვრათ ის არასასურველი დანაშრევები, რომლებიც მემკვიდრეობად გვარგუნა ეროვნებათშორის ურთიერთობაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა.

თავშეკავებული მსჯელობის, სიდარბაისლის გამოჩენის, ერთმანეთის შემწყნარებლობის, ოპონენტის აზრის პატივისცემის საკითხებზე ილაპარაკა ბევრმა ორატორმა — როგორც დეპუტატებმა, ისე მოწვეულებმა. ამ უკანასკნელთა გამოსვლა სესიის ტრიბუნაზე — ესეც დროის ნიშანია. თუმცა, რა თქმა უნდა, იყო ამა თუ იმ პრობლემაზე, ამა თუ იმ საკითხზე შეხედულებათა და თვალსაზრისთა შეჯახებანი, მაგრამ ყოველთვის იმარჯვებდა გონივრული დათმობის და საბოლოოდ ერთსულოვნების მიღწევის მისწრაფება. კითხვაზე, რომელიც დეპუტატებმა არსენ ლოლიჯაშვილმა და გაიოზ ვათიაშვილმა დასვეს სესიაზე რესპუბლიკაში შემოტანილი რადიაციიანი ხორცის ასავალ-დასავლის შესახებ, უპასუხა საქართველოს სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლუდვიგ ლურწკაიამ, რომელმაც თქვა, რომ არც ერთი კილოგრამი ეს ხორცი არ გამოგვიყენებია. სესიაზე რესპუბლიკის სახაგრომრეწვს მიეცა დავალება ათი დღის ვადაში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი ამ პრობლემის გადასაჭრელად.

სესიის სახელზე შემოვიდა აგრეთვე მრავალი სხვა შეკითხვა, შენიშვნა და წინადადება, რომლებიც ხალხს აწუხებს და გადაეცემათ შესაბამის ორგანოებს განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად.

ახლანდელი სესიის კიდევ ერთი საგულისხმო ნიშანი: როდესაც პრაქტიკულად მთელი დღის წესრიგი ამოწურეს, მონაწილენი არ ჩქარობდნენ დარბაზიდან გასვლას, ზედიზედ გამოდიოდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ლანა ღოღობერიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი პარმენ მარგველაშვილი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ იმნაძე... ითქვა, რომ უთუოდ უნდა შემუშავდეს რესპუბლიკაში სიტუაციის სტაბილიზაციისათვის ბრძოლის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს დაძაბულობის მიზეზებს, უზრუნველყოფს ეკოლოგიურ წონასწორობას, ილაპარაკეს სხვა საჭირბოროტო პრობლემებზეც. აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საქმიანობა, გაძლიერდეს საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაცია იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას სუვერენული საქართველოსაკენ მიმავალ ნარ-ეკლიან გზაზე.

თქმა არ უნდა, განვლილი სესია საპარლამენტო აკადემიის პირველი გაკვეთილი გახდა, და ეს ხაზგასმით აღნიშნა თავის საბოლოო გამოსვლაში სესიაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ. ბუნებრივია, იყო ცალკეული ხარვეზებიც, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ჩვენ შევძელით არა მარტო მოგვენიშნა და წარმოგვეჩინა პრობლემები, არამედ განგვესაზღვრა კიდეც მათი ოპტიმალური გადაჭრის გზებიც. ეს კი ნიშნავს, რომ უთუოდ გადავდგამთ ახალ ნაბიჯს ცხოვრების გაუმჯობესების გზით.

რეპორტაჟს უძღვებოდნენ საქინფორმის კორესპონდენტები: მ. გაბრიაძე, თ. გრიგალაშვილი, გ. ედიბერიძე, გ. ჭანიშვილი.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

18 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკების, რსფსრ მხარეებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს რუსეთის სფს რესპუბლიკაში ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მზადებისა და მოწყობის პერიოდში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობის საკითხები. თათბირი გახსნა მ. ს. გორბაჩოვმა. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ა. მანაენკოვმა.

შემდეგ გამართულ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ სკკპ კურსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სელეზნიოვი, სკკპ ფსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. ილინი, სკკპ კრასნოიარსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ს. შენინი, კრასნოდარის სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. კონდრატენკო, სკკპ ტამბოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. პოდოლსკი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ვ. ვლასოვი, ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. თ. იაროვი, ბრიანსკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გ. სიროვატკო, სკკპ უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ს. გრიშჩენკო, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნები პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება, მის შედეგებზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება შემდგომში გარდაქმნა ჩვენს საზოგადოებაში. იმათ, ვისაც აირჩევენ საბჭოებში, დაეკისრებათ თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების, რეალური სამეურნეო ანგარიშის იდეის პრაქტიკული განხორციელება, საბჭოების, როგორც სახალხო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოების ჩამოყალიბება. ამიტომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოებში დავასახელოთ ყველაზე ღირსეული, გარდაქმნისა და საზოგადოების განახლებისათვის მტკიცე მებრძოლები, რომლებსაც პატივს სცემს და ენდობა ხალხი, ახალ პირობებში ახლებურად მუშაობის უნარი შესწევს.

ორატორები შეეხნენ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მოძრაობასთან ურთიერთმოქმედების ფართო წრის საკითხებს. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა შეიქმნეს პირობები, რათა ყველა საარჩევნო ღონისძიება განხორციელდეს ფართო საჯაროობისა და გულახდილობის ვითარებაში და ამასთან მკაცრად იქნეს დაცული არჩევნების შესახებ კანონები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს საარჩევნო კამპანიაში, სა- [illegible] პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის ინიციატივიანი მუშაობა, მისი ახალი მეთოდების გამოძებნა, [illegible] რეგიონის კონკრეტული [illegible] რეალური გათვალისწინება.

თათბირზე აღინიშნა, რომ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა გარდაქმნის ყველა მიმართულებით, დავაჩქაროთ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლა, მივაღწიოთ რეალურ პრაქტიკულ შედეგებს მშრომელთა ყველაზე საჭირბოროტო საკითხებში. და ხაზგასმით აღინიშნა საბჭოების როლი ყველა ამ საქმეში. ყურადღება მიეპყრო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, მუშაკებისადმი პერსონალური მომთხოვნელობის გადიდებას, განსაკუთრებით იმ უბნებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფასთან. ითქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ცენტრისა და ადგილების საქმიანი ურთიერთმოქმედება. განიხილეს აგრეთვე მიმდინარე წლის გეგმის შესრულების, 1990 წელს უფრო გამართული და ნაყოფიერი მუშაობის ორგანიზაციის ამოცანები, რომლის დროს ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გასაჯანსაღებლად.

დასასრულ გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლ. ნ. ზაიკოვი, ვ. ა. კრიუჩკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ბ. კ. პუგო, გ. პ. რაზუმოვსკი, გ. ი. უსმანოვი.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტის თაობაზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაეთანხმოს სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტის გამოქვეყნებისათვის მოსამზადებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წინადადებას, რომ გამოქვეყნდეს მის მიერ დამუშავებული კანონპროექტი პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებისა და მისი პალატების კომისიების მონაწილეობით დაამუშაონ სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მიერ გამოთქმული და საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით და განსახილველად წარმოუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 14 ნოემბერი.

პროექტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირში საკუთრების შესახებ

კარი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირში

1. სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძველს ქმნის სოციალისტური საკუთრება, საბჭოთა მოქალაქეების საზოგადოებრივი საკუთრებისა და პირადი საკუთრების მრავალფეროვანი ფორმებით.

2. სოციალისტური საკუთრება იქმნება საბჭოთა მოქალაქეების გაერთიანებული და ინდივიდუალური შრომით, უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას, მატერიალურ და პირად დამოუკიდებლობას, სოციალურ დაცულობას. იგი ეფუძნება პიროვნების თავისუფლებას ნაყოფიერი და შემოქმედებითი შრომისადმი თავისი უნარის განკარგვაში, მისი ფორმებისა და პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ამ შრომის შედეგების მიქცევის ხერხების არჩევაში. სოციალისტური საკუთრება შეუთავსებელია წარმოების საშუალებებისაგან მუშაკთა გაუცხოებასთან და გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

3. სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების გამრავლებას. უზრუნველყოფს თანასწორ პირობებს ყველა მისი სახეობისა და ფორმის განვითარებისათვის.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა საკუთრების შესახებ

ამ კანონით სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად დგინდება ძირითადი დებულებანი საკუთრების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ საკუთრებით ურთიერთობას აწესრიგებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 3. საკუთრების უფლება

1. სსრ კავშირში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

2. მესაკუთრე თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს თავის კუთვნილ ქონებას, ახორციელებს თავისი ძალაუფლებით მის მართვას და უფლება აქვს ამ ქონების მიმართ მოახდინოს ყოველი მოქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება.

მესაკუთრეს უფლება აქვს გამოიყენოს კუთვნილი ქონება ყოველი სამეურნეო ან სხვა საქმიანობისათვის, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

მესაკუთრეს შეუძლია თავისი უფლებამოსილებანი გადასცეს სახელმწიფო ორგანოებს, აგრეთვე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, მოქალაქეებსა და სხვა პირებს.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირობებსა და ფარგლებში მესაკუთრეს შეიძლება დაეკისროს მოვალეობა დაუშვას მისი ქონების სხვა პირთა მიერ შეზღუდული გამოყენება.

3. საკუთრების უფლების განხორციელება ზიანს არ უნდა აყენებდეს მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და სხვა პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

მუხლი 4. საკუთრების უფლების ობიექტები

1. საკუთრებაში შეიძლება იყოს მიწა, მისი წიაღი, ტყეები, წყლები, ცხოველთა სამყარო, კონტინენტური შელფის ბუნებრივი სიმდიდრეები, შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება მათ შორის საწარმოები, სხვა ქონებრივი კომპლექსები, რომლებიც თავიანთ მთლიანობაში ეკონომიკურ ან სოციალურ ღირებულებას წარმოადგენენ.

ქონების სამეურნეო გამოყენების შედეგები (პროდუქცია, ნაყოფი, შემოსავალი), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით, ეკუთვნის ამ ქონების მესაკუთრეს.

2. საჰაერო სივრცე და სხვა ბუნებრივი ობიექტები მათი ბუნებრივი მდგომარეობით, რომლებიც აღნიშნული არ არის ამ მუხლის პირველ პუნქტში, არ წარმოადგენს საკუთრების ობიექტებს და გამოიყენება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. ინტელექტუალური საკუთრება შეიცავს ყველა უფლებას, რომლებიც განეკუთვნება ინტელექტუალურ საქმიანობას საწარმოო, სამეცნიერო, ლიტერატურულ და მხატვრულ დარგებში.

სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია გამოგონებანი, საინფორმაციო პროდუქცია, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო დასახელებანი და სხვა ობიექტები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების ობიექტების შექმნისა და გამოყენების ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 5. საკუთრების ფორმები

1. მოქალაქეთა საკუთრება შეიცავს სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების ქონებას. მოქალაქენი თავიანთ ქონებას იყენებენ ინდივიდუალურად ან შრომით, მათ შორის გლეხურ მეურნეობებსა და მესაკუთრეთა სხვა კოლექტივებში გაერთიანებულ სხვა მოქალაქეებთან ერთად.

2. კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენს შრომითი კოლექტივების საკუთრება, მშრომელთა ასოციაციების (კოლექტიური საწარმოების), კოოპერატივების, სამეურნეო ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებების, სამეურნეო ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებების საკუთრება.

3. სახელმწიფო საკუთრება შეიცავს საერთო-საკავშირო საკუთრებას, მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრებას, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ავტონომიური ფორმირებების საკუთრებას, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირებების საკუთრებას (კომუნალურ საკუთრებას).

სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო საწარმოსათვის დამკვიდრებული ქონება ამ საწარმოს სრულ სამეურნეო განმგებლობაშია.

მიწის ნაკვეთები შეიძლება მიეცეთ მოქალაქეებს სამუდამო სამკვიდრო მფლობელობაში.

4. კანონით არ იზღუდება ქონების გაერთიანება, რომელიც შედის მოქალაქეთა საკუთრებაში, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნ. ი. რიჟკოვის პასუხი

სტუდენტთა საკავშირო ფორუმის დელეგატების კითხვებზე

როგორც ვიუწყებოდით, 15 ნოემბერს სტუდენტთა საკავშირო ფორუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა უპასუხა ფორუმის მონაწილეთა კითხვებს. ვაქვეყნებთ ამ საუბრის შემოკლებულ სტენოგრამას.

კითხვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი?

პასუხი. ამთავითვე მინდა გულახდილად გითხრათ: მე არ ვიცვლი მრწამსს აუდიტორიისდა მიხედვით. თქვენ იცით, რომ ცოტა ხნის წინ მე მქონდა შესაძლებლობა ამ საკითხზე გამომეთქვა აზრი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკუთრების კანონის პროექტის განხილვისას. იქ მკაფიოდ ჩამოვაყალიბე ჩემი პოზიცია და მინდა, აქაც დავადასტურო.

ჯერ ერთი, მე მიმაჩნია, რომ საკუთრება — ეს არის არა მარტო ეკონომიკური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური კატეგორია. ჩვენ ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

რატომ დგას ასე მწვავედ კერძო საკუთრების საკითხი? ბევრს ჰგონია, რომ, თუ დღეს კერძო საკუთრებას გამოვაცხადებთ, მაშინ მკვეთრად შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური გარემო და ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ათობით წლის მანძილზე, როდესაც სოციალიზმის ჩვენეულ მოდელს ვქმნიდით, სინამდვილეში იქამდე მივედით, რომ სახელმწიფო საკუთრება ქვეყანაში შეადგენს 85 პროცენტს, და მხოლოდ 15 პროცენტია საკუთრების სხვადასხვა ფორმები: კოოპერაციული, სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთრება, საზოგადოებრივი საკუთრება... სახელმწიფო საკუთრების ფარგლებში შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი სისტემა, რომელმაც ჩამოაცილა მშრომელი ადამიანი წარმოების საშუალებებს. აი, რა არის უბედურება. ჩვენ რომ თავის დროზე გამოგვეძებნა ისეთი ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ნამდვილად წარმოაჩენდა ადამიანის პოტენციალს, გააგებინებდა, რომ ეს არის არა უბრალოდ რაღაც აბსტრაქცია, არამედ მისი ღვიძლი საკუთრება, რომელიც მას არჩენს, მაშინ არ იქნებოდა ისეთი სიტუაცია, როგორიც ახლა შეიქმნა.

ჩვენ გვაქვს საიმისო გზები, რომ ნამდვილად გადავწყვიტოთ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეს ძირეული ამოცანა.

პირველი, საჭიროა მკვეთრად შევამციროთ სახელმწიფო საკუთრების წილი. თუ დღესდღეობით იგი 85 პროცენტს შეადგენს, მაშინ, ჩვენი აზრით (ეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი გაანგარიშებაა, და ამ სტადიაზე არა მგონია ვინმემ უყოყმანოდ დაასახელოს ზუსტი ციფრები), სახელმწიფო საკუთრება მისი კლასიკური გაგებით ქვეყანაში უნდა შეადგენდეს დაახლოებით 30 პროცენტს. ეს არის რკინიგზები, ელსადგურები, გაზსადენები და ა. შ. ანუ ის, რაც ყოველთვის უნდა ყოფილიყო საერთო-სახელმწიფოებრივი. სხვათა შორის, ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც ეს საკუთრება სახელმწიფოს ხელთ არის.

ყოველივე დანარჩენისათვის უნდა ვიპოვოთ ახალი ფორმები: სააქციო საზოგადოებები, რომლებშიც ყოველ ადამიანს შეუძლია იყოს მესაკუთრე, კოოპერაციული საკუთრება, იჯარა, ანუ გვაქვს მრავალი ფორმა რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს გადავწყვიტოთ ეს ფუძემდებელი ამოცანა. ეს არის, ჩემი აზრით, ჩვენს ეკონომიკაში შემდგომი გარდაქმნების დედაარსი, როდესაც საქმე ეხება წარმოებითს ურთიერთობაში საკუთრების ფორმებს.

ჩვენ ვცნობთ და კვლავაც განვავითარებთ ინდივიდუალურ საკუთრებას. დღემდე, როდესაც სიტყვა ინდივიდუალურ საკუთრებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ვგულისხმობდით მხოლოდ მოხმარების სფეროს. ახალი კანონის პროექტით გათვალისწინებულია: ამ საკუთრებას შეიძლება ექნეს აგრეთვე საწარმოო ხასიათიც. მაგალითად, იყიდოს კაცმა სატვირთო ავტომობილი და იმუშაოს მასზე, რა დაშავდება ამით. ჩვენ ამის მომხრენი ვართ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამოირიცხოს ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია. აი, რა არის, ჩემი აზრით, ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლის მარშრუტი. და ეს დიდად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს.

კითხვა. საზღვარგარეთ ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების საბაზრო მექანიზმებმა კარგი სახელი მოიხვეჭა. რატომ არ ვცდილობთ ჩვენ მოვიფიქროთ რაღაც ახალი?

პასუხი. გულახდილად თუ ვილაპარაკებთ, ჩვენ ამ მხრივ ძალზე ცოტა გამოცდილება გვაქვს. ოციან წლებში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში, მუშავდებოდა სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიკური მეთოდები. შემდეგ ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა და 60-70 წლის მანძილზე პრობლემას არ გავკარებივართ. და მხოლოდ 80-იანი წლების მეორე ნახევარში მივაქციეთ მას ყურადღება. ყოველივე, რაც კი რამ არის სასარგებლო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ჩვენ გვინდა მაქსიმალურად გამოვიყენოთ და მოვიხმაროთ, თუ იგი მისაღებია ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების, ჩვენი ეკონომიკისათვის. მაგრამ საგნებს რეალურად უნდა ვუყურებდეთ. ხომ არის ბევრი ღონისძიება, რომლებიც, ერთი შეხედვით, სწრაფ უკუგებას გვპირდება, და ხვდება საამისოდ სრულიად მოუმზადებელ ეკონომიკურ და თვით ფსიქოლოგიურ გარემოში. ჩვენ უნდა გავიაროთ გარკვეული გზა მათს გასააზრებლად. საჭიროა მოთმინებით ვხვეწოთ ეს მიდგომები, იმიტომ, რომ სხვათა გამოცდილებას, ასე ვთქვათ, „ერთი ერთზე“ ჩვენ ვერ გამოვიყენებთ. იგი არ არის ყოველმხრივ მისაღები ჩვენთვის, მაგრამ ბევრი რამ უნდა გავიზიაროთ და ჩვენ კვლავაც ჩავაყენებთ ეკონომიკის სამსახურში იმას, რაც მას არგებს.

კითხვა. ახლა მიმდინარეობს ერთიანი დაბეგვრის კანონის განხილვა და არ არის გათვალისწინებული არავითარი შეღავათი ჩვენი სტუდენტური საწარმოებისათვის.

პასუხი. ვფიქრობ, ჩვენ უბრალოდ გამოგვრჩა ეს, და კანონის დახვეწისას, იგი კი ჯერ არ განგვიხილავს უმაღლეს საბჭოში, შენიშვნა უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. საკითხის დაყენება სწორად მიმაჩნია.

კითხვა. რა კეთდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალური უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის?

პასუხი. მთავრობას მიაჩნია, რომ ორივე საკითხი უაღრესად სერიოზულად უნდა იქნეს განხილული. დღეს ბევრი სასწავლებლის, ხაზს ვუსვამ, ბევრის, და არა ყველასი (ჩვენ გვაქვს ძალზე კარგად აღჭურვილი სასწავლებლებიც), — მრავალმხრივ არ შეესაბამება იმ საწარმოების, ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვის დონეს, რომლებშიც თქვენ მიხვალთ სამუშაოდ სწავლის დამთავრების შემდეგ. ეს ვერ შეუწყობს ხელს ახალგაზრდა სპეციალისტთა პოტენციალის სრულ წარმოჩენას. საწარმოში მისული ახალგაზრდა ხედავს ტექნიკას, რომელიც ძირეულად განსხვავდება იმისაგან, რომელზეც მას უსწავლია. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — არსებითად გავაუმჯობესოთ მდგომარეობა. რა გზები გვაქვს საამისოდ? არსებობს ორი გზა.

პირველია გადანაწილება: ვიღაცას გამოვართვათ და თქვენ მოგცეთ. ამას არ გამოვრიცხავ. ალბათ, მოგვიწევს, როდესაც მე-13 ხუთწლედის გეგმაზე ვიმუშავებთ.

(დასასრული მე-4 გვ.)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1990 წლის იანვრის მეორე ნახევარში მოსკოვში მოიწვიოს მუშათა, გლეხთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წარმომადგენლების საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილავენ გარდაქმნის მიმდინარეობას და 1990 წელს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ ამოცანებს.

კანადის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

20 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა კანადის პრემიერ-მინისტრი მარტინ ბრაიან მალრუნი.

აეროდრომზე ბ. მალრუნისა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს—2049“

1989 წლის 17 ნოემბერს საბჭოთა კავშირში „სოიუზ“ მატარებელი რაკეტით გაშვებულია დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-2049“.

(საკდესი).

პროექტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში საკუთრების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

რებაში, და ამ საფუძველზე საკუთრების სხვადასხვა შერეული ფორმების შექმნა.

5. სსრ კავშირის კანონის შესაბამისად შეიძლება არსებობდეს უცხოეთის სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოეთის იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა საკუთრება, ერთობლივ საწარმოთა საკუთრება საბჭოთა და უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით.

6. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა, ამ კანონით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივი საკუთრებისა და მოქალაქეთა საკუთრების ფორმები.

7. საკუთრების რეალიზაციის დროს დაიშვება შეთანხმებებით შრომის გამოყენება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. საერთო საკუთრება

1. ქონება შეიძლება საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს ერთდროულად რამდენიმე პირს, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

2. საერთო საკუთრება შეიძლება იყოს წილობრივი (ქონებაში თითოეული მესაკუთრის წილის განსაზღვრით), ხოლო კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — ერთობლივი (წილთა განუსაზღვრელად).

3. საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის წესს განსაზღვრავს მესაკუთრეთა შეთანხმება, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში — სასამართლო, სახელმწიფო არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო.

მუხლი 7. საკუთრება იჯარის დროს

1. მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოყენებით წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი მისი საკუთრებაა.

2. იჯარით აღებული ქონება მეიჯარის საკუთრებაა და შეიძლება მისი თანხმობით მთლიანად ან ნაწილობრივ გამოისყიდოს არენდატორმა, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გარდა.

მუხლი 8. სახდელის მიქცევა მესაკუთრეთა ქონებაზე

1. საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები, კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობანი, სააქციო საზოგადოებანი პასუხს აგებენ ვალდებულებებზე მთელი თავიანთი ქონებით.

სახელმწიფო არ აგებს პასუხს საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, სამეურნეო ამხანაგობათა, სააქციო საზოგადოებათა ვალდებულებებზე, ხოლო ისინი არ აგებენ პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

2. მოქალაქენი პასუხს აგებენ თავიანთ ვალდებულებებზე მათთვის საკუთრების უფლებით კუთვნილი ქონებით, აგრეთვე თავიანთი წილით საერთო საკუთრებაში.

მოქალაქეთა იმ ქონების ნუსხას, რომელზეც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს სახდელი კრედიტორთა პრეტენზიებით, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი II.

სსრ კავშირის მოქალაქეთა საკუთრება

მუხლი 9. ზოგადი დებულებანი მოქალაქეთა საკუთრების შესახებ

1. მოქალაქეთა საკუთრება მათი პირადი კუთვნილებაა, რომელსაც ისინი შეხედულებისამებრ იყენებენ თავიანთი მრავალფეროვანი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად გასაძღოლად.

2. პირადი საკუთრების განმტკიცებას და გამრავლებას უზრუნველყოფს იმ შრომითი შემოსავლის მოქალაქეთა საკუთრებაში მიქცევა, რომელსაც ისინი იღებენ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის, საკუთარი მეურნეობის გაძღოლისა და საკრედიტო დაწესებულებებში, აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრებისაგან, მოქალაქეთა ქონების მემკვიდრეობით გადასვლა.

3. სსრ კავშირის მოქალაქეს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება განკარგავდეს თავის ნაყოფიერი და შემოქმედებითი შრომის უნარს.

ამ უფლებას მოქალაქე ახორციელებს დამოუკიდებლად ან შრომითი ქირავნობის ურთიერთობაში ნებაყოფლობით ჩაბმის გზით.

4. მეუღლეთა მიერ ცოლქმრობის განმავლობაში შეძენილი ქონება მათი საერთო ერთობლივი საკუთრებაა.

5. მოქალაქეთა საკუთრების მემკვიდრეობის უფლებას ცნობს და იცავს კანონი.

მუხლი 10. მოქალაქეთა საკუთრების უფლების ობიექტები

მოქალაქეთა საკუთრებაში შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლი, სახელმწიფო, კოოპერაციულ ან სხვა საბინაო ფონდში შეძენილი ბინა, აგარაკი, საბაღე სახლი, ნარგავები მიწის ნაკვეთზე, ფულადი დანაზოგი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, საოჯახო მეურნეობის და პირადი მოხმარების საგნები, დამხმარე მეურნეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის წარმოების, ინდივიდუალური და სხვა სამეურნეო საქმიანობის საშუალებანი.

მოქალაქის მიერ მისი შრომითი შემოსავლის და დანაზოგის ხარჯზე ან კანონით გათვალისწიინებულ სხვა საფუძველზე შეძენილი ქონების შედგენილობა და ღირებულება არ იზღუდება.

მუხლი 11. შრომითი მეურნეობის საკუთრება

1. ოჯახის წევრთა და სხვა იმ პირთა საკუთრებაში, რომლებიც ერთობლივად უძღვებიან შრომითს მეურნეობას, შეიძლება შედიოდეს სამეურნეო ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა, ნედლეული და მასალა, რომლებიც პროდუქციის დამზადების, წარმოებისათვის გამოიყენება, და მეურნეობის დამოუკიდებელი გაძღოლისათვის საჭირო სხვა ქონება.

2. შრომითი მეურნეობის ქონება, მათ შორის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს ოჯახის წევრთა და სხვა მეურნე პირთა საერთო წილობრივ საკუთრებას, თუ ხელშეკრულებით მათ შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 12. გლეხური მეურნეობის საკუთრება

1. გლეხურ მეურნეობას შეიძლება საკუთრებად ჰქონდეს საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამოუკიდებელი გაძღოლისათვის საჭირო სხვა ქონება.

გლეხური მეურნეობის გაძღოლისათვის გადაიცემა მიწა სამუდამო სამკვიდრო მფლობელობისათვის ან იჯარით.

გლეხური მეურნეობის საკუთრებაში შეიძლება იყოს ამ მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია, რომელსაც იგი იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

2. გლეხური მეურნეობის ქონება ეკუთვნით მის წევრებს საერთო ერთობლივი საკუთრების უფლებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით ან მეურნეობის წევრთა ხელშეკრულებით.

კარი III.

კოლექტიური საკუთრება

მუხლი 13. ზოგადი დებულებანი კოლექტიური საკუთრების შესახებ

1. კოლექტიური საკუთრება არის მშრომელთა კოლექტივებისა და სხვა იმ კოლექტიური წარმონაქმნების საერთო კუთვნილება, რომლებმაც თავიანთი შრომა და საშუალებანი გააერთიანეს ერთობლივი სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობისათვის.

2. მშრომელთა კოლექტივებისა და სხვა კოლექტიური წარმონაქმნების წევრები უშუალოდ და მათ მიერ ჩამოყალიბებული ორგანოების მეშვეობით განსაზღვრავენ კოლექტიური საკუთრების გამოყენების წესსა და მიმართულებებს, მონაწილეობენ კოლექტიური ქონების მართვასა და კოლექტივის სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის განაწილებაში.

3. კოლექტიური საკუთრების წარმოშობას და განვითარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრების ობიექტების გადაცემა მშრომელთა კოლექტივებისათვის იჯარით ან სრული სამეურნეო განმგებლობისათვის, მათთვის იმ შესაძლებლობის მინიჭება, რომ გამოიყენონ მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ქონების გამოსასყიდად და შექმნან მშრომელთა ასოციაციები, საწარმოები და ორგანიზაციები წილობრივ, საპაიო და სააქციო საწყისებზე.

მუხლი 14. სახელმწიფო საწარმოს შრომითი კოლექტივის საკუთრება

1. შრომითს კოლექტივს ეკუთვნის წილი სახელმწიფო საწარმოს ქონებაზე საერთო საკუთრების უფლებაში. ეს წილი იქმნება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ნაწილის ხარჯზე. შრომითი კოლექტივის წილში შედის აგრეთვე ამ კოლექტივის მიერ შეძენილი ან სხვა პირთა მიერ მისთვის გადაცემული ქონება და სახსრები, რომლებიც ნებაყოფლობით შეიტანეს შრომითი კოლექტივის წევრებმა.

შრომითი კოლექტივის საკუთრებაში შემავალი მოგების (შემოსავლის) და საწარმოს ქონებაში მის წილად მისაკუთვნებელი დანაკარგების ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოსა და შრომითი კოლექტივის ერთობლივი გადაწყვეტილებით. მოგების (შემოსავლის) აღნიშნული წილის განსაზღვრისას წამოჭრილ დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი.

სახელმწიფო საწარმოს ქონებაში გათვალისწინებულია შრომითი კოლექტივის საკუთრების წილი და სახელმწიფო საკუთრების წილი.

2. შრომითი კოლექტივის საკუთრებაში არსებულ ქონებაში განისაზღვრება ამ ქონების შექმნაში შრომითი კოლექტივის ყველა წევრის წვლილის ოდენობა შრომითი კოლექტივის წევრის პირადი შრომითი მონაწილეობის, აგრეთვე ფულადი და სხვაგვარი ქონებრივი შენატანის ხარჯზე. შრომითი კოლექტივის წევრის წვლილის ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება შრომითი კოლექტივის მიერ დადგენილი წესით.

შრომითი კოლექტივის წევრთა წვლილზე ყოველწლიურად დაირიცხება პროცენტები, რომელთა ოდენობას განსაზღვრავს შრომითი კოლექტივი. შემოსავალი, რომელსაც პროცენტების სახით იღებენ შრომითი კოლექტივის წევრები, შეიძლება თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ამ წევრებმა. შრომითი კოლექტივის წევრი, რომელმაც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა, ინარჩუნებს თავისი წვლილის პროცენტების მიღების უფლებას. საწარმოს ლიკვიდაციისას შრომითი კოლექტივის წევრს ეძლევა მისი წვლილი ფულადი ფორმით ან ფასიანი ქაღალდებით.

3. საწარმოს მთელი ქონების შრომითი კოლექტივის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში იგი შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით გარდაიქმნება მშრომელთა ასოციაციად (კოლექტიურ საწარმოდ), კოოპერატივად, სამეურნეო ამხანაგობად ან სააქციო საზოგადოებად.

4. საერთო-საკავშირო საკუთრებაში, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრებაში, კომუნალურ საკუთრებაში არსებულ ცალკეულ საწარმოებში (საწარმოთა ჯგუფებში), მათი მეურნეობრიობის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ წარმოიშობა შრომითი კოლექტივების საკუთრება. საერთო-საკავშირო საკუთრებაში არსებულ ასეთ საწარმოთა (საწარმოების ჯგუფის) სახეობებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრებაში, კომუნალურ საკუთრებაში არსებული საწარმოების მიმართ — ადგენენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები და მათ მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 15. მშრომელთა ასოციაციის (კოლექტიური საწარმოს) საკუთრება

1. მშრომელთა ასოციაციის (კოლექტიური საწარმოს) საკუთრებაში შედის ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებანი, მის მიერ წარმოებული პროდუქცია, ასოციაციის საქმიანობით მიღებული შემოსავალი და სხვა ქონება, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა ასოციაციის (კოლექტიური საწარმოს) დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას და განვითარებას.

2. მშრომელთა ასოციაციის (კოლექტიური საწარმოს) საკუთრება წარმოიშობა სახელმწიფო საწარმოთა შრომითი კოლექტივების საკუთრების გარდაქმნის, იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხერხებით ქონების შეძენის შედეგად.

3. მშრომელთა ასოციაციის (კოლექტიური საწარმოს) ქონება ეკუთვნის ამ საწარმოს კოლექტივს მთლიანად. მშრომელთა ასოციაციის ყველა მუშაკი მონაწილეობს კოლექტიური ქონების მართვაში, ასოციაციის შემოსავლის განაწილებაში. შემოსავალში მშრომელთა ასოციაციის მუშაკის მონაწილეობის წილი განისაზღვრება ასოციაციის ქონების შექმნაში შეტანილი მისი შრომითი წვლილით. ამ წილის ოდენობის განსაზღვრისა და მასზე მუშაკთა უფლებების რეალიზაციის წესსა და პირობებს ადგენს ასოციაციის წესდება შრომითი კოლექტივის ქონების მშრომელთა შორის განაწილების წესების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-14 მუხლით.

მშრომელთა ასოციაციის შემოსავალში მუშაკის მონაწილეობის წილი უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საქმიანობის შედეგებზე, მოგებასა და ზარალზე, და არ არის შეზღუდული მაქსიმალური ამ მინიმალური ფარგლებით.

4. მშრომელთა ასოციაცია (კოლექტიური საწარმო) უზრუნველყოფს თავისი ქონების გამოყენებას ახალი სამუშაო ადგილებისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესაქმნელად იმ წესით, რომელიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით არის გათვალისწინებული სახელმწიფო საწარმოების მიმართ.

მუხლი 16. კოოპერატივების საკუთრება

1. კოოპერატივის საკუთრებაა წარმოების საშუალებანი და სხვა ქონება, რომელიც მას ესაჭიროება საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად, აგრეთვე კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქცია.

წარმოების საშუალებათა შემადგენლობაში შეიძლება, კოოპერატივის საქმიანობის ხასიათის კვალობაზე, შედიოდეს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, სხვა ქონება. კოოპერატივის საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონება, რომლებსაც იგი ქმნის.

2. კოოპერატივის ქონება წარმოიშობა მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანის, კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციით და კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

3. კოოპერატივების კავშირი (ასოციაცია) საკუთრებად ფლობს ქონებას, რომელიც მას გადასცეს კავშირად ნებაყოფლობით გაერთიანებულმა კოოპერატივებმა. კავშირს (ასოციაციას) არა აქვს მასში შემავალი კოოპერატივების ქონების საკუთრების უფლება.

4. კოოპერატივის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კოოპერატივის წევრებს შორის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 17. სამეურნეო ამხანაგობათა საკუთრება

1. იურიდიულ პირად მოქმედი სამეურნეო ამხანაგობის ქონება წარმოიშობა მონაწილეთა წვლილის ხარჯზე და მისი საკუთრებაა.

2. ამხანაგობის მონაწილის წვლილის შედგენილობაში შეიძლება შედიოდეს საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე ქონებით, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრებით სარგებლობის უფლება.

3. მონაწილეთა წვლილი თანაბრად ითვლება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სამეურნეო ამხანაგობის დამფუძნებელი დოკუმენტებით.

მუხლი 18. სააქციო საზოგადოების საკუთრება

1. სააქციო საზოგადოება იქმნება მისი საწესდებო ფონდის მთელი ღირებულების ოდენობით აქციების გამოშვების გზით.

სახელმწიფო საწარმო შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით შეიძლება გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად საწარმოს ქონების მთელი საბალანსო ღირებულების ოდენობით აქციების გამოშვების გზით. აქციების გაყიდვით მიღებული სახსრები ამ შემთხვევაში გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

სახელმწიფო სააქციო საზოგადოებას წარმოადგენს სააქციო საზოგადოება, რომლის ყველა აქცია ეკუთვნით სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

2. სააქციო საზოგადოება მესაკუთრეა ქონებისა, რომელიც შექმნილია მონაწილეთა წვლილის ხარჯზე, აგრეთვე მიღებულია მისი საქმიანობის შედეგად და შეძენილია მის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზე.

3. აქციების მქონენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშრომელთა ასოციაციები (კოლექტიური საწარმოები), სააქციო საზოგადოებანი.

4. მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობდნენ სააქციო საზოგადოებაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

5. სააქციო საზოგადოებაში უცხოელ იურიდიულ პირთა მონაწილეობა დაიშვება იმ შემთხვევებში და წესით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 19. სამეურნეო ასოციაციათა (გაერთიანებათა) საკუთრება

1. სამეურნეო ასოციაციას (კონცერნი, კონსორციუმი, კავშირი, დარგთაშორისი და რეგიონული გაერთიანება) აქვს იმ ქონების საკუთრების უფლება, რომელიც მას ნებაყოფლობით გადასცეს სახელშეკრულებო საფუძველზე საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

2. სამეურნეო ასოციაციას არა აქვს მასში შემავალ საწარმო-ორგანიზაციათა ქონების საკუთრების უფლება.

3. სამეურნეო ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მასში შედიოდნენ.

მუხლი 20. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრება

1. საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეიძლება საკუთრებად ჰქონდეს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი პოლიტიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურულ-აღმზრდელობითი, ეკოლოგიური და სხვა საწესდებო საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში შეიძლება შედიოდეს აგრეთვე საწარმოები, რომლებსაც იგი ქმნის მათი საქმიანობის ხასიათისა და საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციათა კავშირის (გაერთიანების) ქონება შედის ამ ორგანიზაციათა საკუთრებაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მათი წესდებებით (დებულებებით) ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტებით.

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ხმარდება ამ ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს.

მუხლი 21. რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრება

რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრებაში შეიძლება შედიოდეს შენობები, კულტის საგნები, საწარმოო, სოციალური და საქველმოქმედო დანიშნულების ობიექტები, ფულადი სახსრები და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ქონება.

რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ იმ ქონების საკუთრების უფლება, რომელიც მათ იყიდეს, ააშენეს, შექმნეს და აწარმოვეს საკუთარი სახსრების ხარჯზე, უწყალობეს მორწმუნეებმა ან გადასცეს სახელმწიფომ, სხვა პირებმა, და შეიძინეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზე.

კარი IV.

სახელმწიფო საკუთრება

მუხლი 22. სახელმწიფო საკუთრება საბჭოთა მოქალაქეების კუთვნილებაა

1. სახელმწიფო საკუთრება საბჭოთა მოქალაქეების კუთვნილებაა და ეკუთვნის მთლიანად საბჭოთა ხალხს, მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ავტონომიური წარმონაქმნებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ხალხს.

2. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე საერთო-საკავშირო საკუთრებაში, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, სხვა ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრებასა და კომუნალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასა და მართვას ხალხის სახელით ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები და მათ მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

3. საბჭოთა მოქალაქეებს ეკუთვნით განუყოფელი უფლება გამოიყენონ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო საკუთრება საერთო და პირადი ინტერესებისათვის და მონაწილეობა მიიღონ სახალხო ქონების განკარგვაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით და უშუალოდ რეფერენდუმების გზით.

4. სახელმწიფო საკუთრების განმტკიცებასა და განვითარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ქონების თადარიგიანი გამოყენება, საზოგადოებრივი და სახელმწიფო კონტროლი სახალხო კუთვნილების დაცვა-შენახვისადმი.

5. ქონება, რომელიც შექმნილი ან შეძენილია სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, რაიონის, ქალაქის ან მათს განმგებლობაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების საბიუჯეტო თუ სხვა სახსრების ხარჯზე, განეკუთვნება საერთო-საკავშირო საკუთრებას, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, სხვა ავტონომიური წარმონაქმნის საკუთრებას, კომუნალურ საკუთრებას.

მუხლი 23. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები როგორც სახალხო კუთვნილება

1. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები არის საბჭოთა მოქალაქეების განუყოფელი კუთვნილება, ეკუთვნის მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს, მთლიანად საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა ხალხების ფედერაციად გაერთიანების შედეგად მათი კუთვნილი მიწა და სხვა ბუნებრივი ობიექტები ქმნიან ერთიან ტერიტორიას, რომელიც სსრ კავშირის სუვერენიტეტის საფუძველს შეადგენს.

2. მოკავშირე რესპუბლიკა ფლობს, იყენებს და განკარგავს მიწას და სხვა ბუნებრივ რესურსებს თავის ტერიტორიაზე, ამასთან უზრუნველყოფს რესპუბლიკის ხალხთაგან თითოეულის უფლებას შეინარჩუნონ და დამოუკიდებლად გამოიყენონ მათი კუთვნილი ბუნებრივი სიმდიდრენი.

ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკრუგი და სხვა ავტონომიური წარმონაქმნი ფლობენ, იყენებენ და განკარგავენ მიწას და სხვა ბუნებრივ რესურსებს თავიანთ ტერიტორიაზე.

სსრ კავშირი ფლობს, იყენებს და მონაწილეობს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების განკარგვაში, რომლებიც აუცილებელია საერთო-საკავშირო და სარესპუბლიკათაშორისო მოთხოვნილებების, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მოკავშირე რესპუბლიკა ფლობს, იყენებს და მონაწილეობს საერთორესპუბლიკური მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად საჭირო მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების განკარგვაში ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე, რომელიც რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის. ამ მიზნით ბუნებრივი რესურსების მინიჭების წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკისა და შესაბამისი ავტონომიური წარმონაქმნის შეთანხმებით.

3. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საერთო-საკავშირო საფუძვლებს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მინიჭების წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, ხოლო საერთო-საკავშირო და სარესპუბლიკათაშორისო მოთხოვნილებების, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო გამოყენების, მათ შორის, მიწის იჯარით გადაცემისათვის მიწის განკარგვის უფლებამოსილებას ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოები.

4. მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები სარგებლობისათვის გადაიცემა გადასახდელით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით და სხვა ავტონომიური წარმონაქმნების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აქტებით.

მუხლი 24. საერთო-საკავშირო საკუთრება

საერთო-საკავშირო საკუთრებაში შედის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის საბაზო დარგების საწარმოები და სახალხო-სამეურნეო კომპლექსები, საზღვაო, რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტი, მაგისტრალური მილსადენები, შეიარაღებული ძალების ქონება და თავდაცვითი ობიექტები, საერთო-სახალხო კულტურული და ისტორიული ღირებულებანი, საერთო-საკავშირო სარეზერვო, სადაზღვევო და სხვა ფონდები, საკავშირო ბიუჯეტის სახსრები, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სხვა ბანკები, აგრეთვე სხვა ქონება, რომელიც განკუთვნილია სსრ კავშირზე დაკისრებული საერთო-საკავშირო და სარესპუბლიკათაშორისო ფუნქციების შესასრულებლად.

მუხლი 25. მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრება

1. მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრებაში შედის მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოები და რესპუბლიკური სამეურნეო კომპლექსები, ტრანსპორტი, მოკავშირე რესპუბლიკის ხალხის კულტურული და ისტორიული ღირებულებანი, რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები, მოკავშირე რესპუბლიკის ბანკები და სხვა ქონება, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, სამეურნეო დამოუკიდებლობას და მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

2. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, სხვა ავტონომიური წარმონაქმნების საკუთრებაში შედის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოები და ტერიტორიული კომპლექსები, ავტონომიური წარმონაქმნის ხალხის კულტურული და ისტორიული ღირებულებანი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის დაწესებულებათა ქონება, ბიუჯეტის სახსრები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა ავტონომიური წარმონაქმნის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 26. კომუნალური საკუთრება

მხარის, ოლქის, რაიონის, ქალაქის საკუთრებაში (კომუნალურ საკუთრებაში) შედის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდი და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ადგილობრივი საწარმოები, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის დაწესებულებანი, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოო კომპლექსები და საწარმოები, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა შესაბამისი მხარის, ოლქის, რაიონის, ქალაქის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 27. სახელმწიფო საწარმოს ქონება

1. ქონება, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს და გაპიროვნებულია სახელმწიფო საწარმოზე, მას ეკუთვნის სრული სამეურნეო განმგებლობის უფლებით.

ახორციელებს რა თავისი ქონების სრული სამეურნეო განმგებლობის უფლებას, საწარმო ფლობს, იყენებს და განკარგავს აღნიშნულ ქონებას და თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს მის მიმართ ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს და საწარმოს საქმიანობის მიზნებს. სრული სამეურნეო განმგებლობის უფლების მიმართ გამოიყენება წესები საკუთრების უფლების შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან მართონ საწარმოსათვის სრულ სამეურნეო განმგებლობაში გადაცემული ქონება, წყვეტენ საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის მიზნების განსაზღვრის, დადგენილი წესით პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების შეკვეთების საწარმოში განლაგების საკითხებს, ახორციელებენ კონტროლს საწარმოსათვის მინდობილი სახელმწიფო საკუთრების დაცვა-შენახვისადმი და სხვა უფლებამოსილებას, საწარმოს შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩამოართვას საწარმოს მისი ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებანი, წარმოებაში მოსახმარი სხვა ქონება, იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით არის გათვალისწინებული.

4. სახელმწიფო საწარმოები, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის მათი ქონება საერთო-საკავშირო საკუთრებას, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, სხვა ავტონომიური წარმონაქმნის საკუთრებას თუ კომუნალურ საკუთრებას, მონაწილეობენ იმ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რომლის ტერიტორიაზეც არიან განლაგებული ისინი. ასეთი მონაწილეობის ფორმები და ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც საწარმო უდებს სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებს.

5. სახელმწიფო საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საწარმო წყვეტს საქმიანობას მისი ფინანსური უსახსრობის (გაკოტრების) გამო, შეიძლება განხორციელდეს საწარმოს შრომითი კოლექტივისა და მმართველობის სახელმწიფო ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით. სახელმწიფო საწარმოთა რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე წამოჭრილ დავას წყვეტს სახელმწიფო არბიტრაჟი.

6. საწარმოს ქონების შემადგენლობაში მისი შრომითი კოლექტივის საკუთრების წარმოშობისას ეს ქონება შრომითი კოლექტივის მიერ სრულ გამოსყიდვამდე საერთო წილობრივ სახელმწიფო-კოლექტიურ საკუთრებაში შედის.

ძირითადი და საბრუნავი საწარმოო ფონდები და საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია ამ ქონების საერთო სახელმწიფო-კოლექტიური საკუთრების წარმოშობისას საწარმოს სრულ სამეურნეო განმგებლობაშია.

საწარმოს შრომითი კოლექტივის სახსრების ხარჯზე შექმნილი საბინაო ფონდის, ბავშვთა და სამკურნალო დაწესებულებების, სპორტული ნაგებობებისა და შრომითი კოლექტივის წევრთა სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოსახმარი სხვა ობიექტების განკარგვა ხორციელდება შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით. საწარმოს ადმინისტრაცია ახორციელებს მართვას და უზრუნველყოფს ამ ქონების გამოყენებას შრომითს კოლექტივთან შეთანხმებული წესით.

7. სახელმწიფო საწარმოს უზრუნველყოფილი აქვს მის სრულ სამეურნეო განმგებლობაში არსებულ ქონებაზე უფლებათა დაცვა, მათ შორის, ქონების მესაკუთრის მიმართაც, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი საკუთრების უფლების დაცვის თანაბრად.

მუხლი 28. სახელმწიფო დაწესებულების ქონება

1. სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკისა და სხვა ავტონომიური წარმონაქმნის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნის კუთვნილი და მესაკუთრის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებაზე (ორგანიზაციაზე) გაპიროვნებული ქონება შედის ამ დაწესებულების (ორგანიზაციის) ოპერატიულ მმართველობაში, რომელიც კანონით დადგენილ ფარგლებში, თავისი საქმიანობის მიზნების, საგეგმო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად ახორციელებს მისი მფლობელობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებებს.

სახელმწიფო დაწესებულებანი და სახელმწიფო ბიუჯეტში მყოფი სხვა ორგანიზაციები ფულად სახსრებს ხარჯავენ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. სსრ კავშირს, მოკავშირე რესპუბლიკას, ავტონომიურ რესპუბლიკასა და სხვა ავტონომიურ წარმონაქმნს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებაზე (ორგანიზაციაზე) გაპიროვნებული ქონების მესაკუთრენი არიან, უფლება აქვთ ჩამოართვან ეს ქონება ან გადაუნაწილონ იგი საქვეუწყებო დაწესებულებებს (ორგანიზაციებს) თავიანთი შეხედულებისამებრ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

2. სახელმწიფო დაწესებულებებსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლიათ ახორციელებდნენ სამეურნეო საქმიანობას, ენიჭებათ უფლება დამოუკიდებლად განკარგავდნენ ასეთი საქმიანობით მიღებულ შემოსავალს და ამ შემოსავლის ხარჯზე შეძენილ ქონებას.

კარი V.

ერთობლივ საწარმოთა, უცხოეთის მოქალაქეთა, ორგანიზაციათა და სახელმწიფოთა საკუთრება

მუხლი 29. საბჭოთა და უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით მოქმედ ერთობლივ საწარმოთა საკუთრება

საბჭოთა და უცხოელი იურიდიული პირების მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოს, ორგანიზაციის ან გაერთიანების საკუთრებაა შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ფულადი სახსრები, საწესდებო ფონდში შეტანილი სხვა მატერიალური ფასეულობანი, წარმოებული პროდუქცია, მიღებული შემოსავალი და ერთობლივი საწარმოს, ორგანიზაციის ან გაერთიანების იმ საქმიანობის განსახილველად საჭირო სხვა ქონება, რომელიც მისი დამფუძნებელი დოკუმენტებით არის გათვალისწინებული.

მუხლი 30. უცხოეთის მოქალაქეთა საკუთრება

უცხოეთის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სსრ კავშირში არსებული საკუთრების მიმართ გამოიყენება ამ კანონის მე-9-მე-12 მუხლები და საბჭოთა მოქალაქეების საკუთრების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობის სხვა წესები.

მუხლი 31. უცხოეთის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილი საკუთრება

უცხოეთის ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ სსრ კავშირის ტერიტორიაზე საკუთრებად იქონიონ სამრეწველო და სხვა საწარმოები, შენობები, ნაგებობანი და სხვა ქონება სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით იმ შემთხვევებში და წესით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 32. უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება

უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფლობდნენ სსრ კავშირში, მათ შორის, საკუთრების უფლებით, დიპლომატიური, საკონსულო და სხვა საერთაშორისო ურთიერთობის განსახორციელებლად საჭირო ქონებას, იმ შემთხვევებში და წესით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სსრ კავშირის კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების დაცვით.

კარი VI.

საკუთრების უფლების გარანტიები და დაცვა

მუხლი 33. საკუთრების უფლებათა დაცვის თანასწორობა

სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონმდებლობაში და მისი გამოყენების დროს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო ამხანაგობების, მოქალაქეების, ერთობლივი საწარმოებისა და სხვა მესაკუთრეების თანაბარ პირობებს საკუთრების უფლების დაცვის ხერხების, საშუალებებისა და ფორმების მიმართ.

მუხლი 34. მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევის დაუშვებლობა

სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევა არ დაიშვება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთი ჩამორთმევა ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით დადგენილ საფუძვლებზე და წესით, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ჩამორთმევით მიყენებული ზარალის ანაზღაურებით, ან დანაშაულისათვის სასჯელის ანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით.

მუხლი 35. საკუთრების ურთიერთობის სტაბილურობის გარანტიები

1. სახელმწიფო გარანტიულად უზრუნველყოფს ამ კანონით დადგენილი საკუთრების ურთიერთობის სტაბილურობას.

2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აქტები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგება, სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს მესაკუთრისა და სხვა იმ პირების სარჩელის მიხედვით, რომელთა შესაბამისი ქონების მფლობელობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებები ამ აქტების მიღების შედეგად უსაფუძვლოდ შეწყდა ან შეილახა.

აღნიშნული აქტების გამოცემის შედეგად ამ პირობისათვის მიყენებული ზარალი ექვემდებარება სრული მოცულობით ანაზღაურებას ხელისუფლების ან მმართველობის შესაბამისი ორგანოს განკარგულებაში არსებული სახსრების ხარჯზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირი ან მოკავშირე რესპუბლიკა მიიღებენ კანონმდებლობის აქტებს, რომლებიც წყვეტენ ან ზღუდავენ საკუთრების უფლებას, მესაკუთრეს, რომელსაც ამ აქტების მიღების შედეგად ქონებრივი ზარალი მიადგა, უფლება აქვს სასამართლოში წარუდგინოს სარჩელი სახელმწიფოს თავისი დანაკარგების ანაზღაურების შესახებ.

ნ. ი. რიჟკოვის პასუხი

სტუდენტთა საკავშირო ფორუმის დელეგატების კითხვებზე

(დასასრული)

კიდევ ერთხელ უაღრესად გულდასმით განვიხილოთ, როგორ გავაუმჯობესოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალური ბაზის მდგომარეობა. მეორე გზა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ხელშია. განა ეს დასაშვებია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ქვეყნის მეცნიერებათა დოქტორებისა და კანდიდატების 50 პროცენტი ასრულებს სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო სამუშაოთა მოცულობის დაახლოებით 10 პროცენტს. ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ წარმოჩნდეს მასწავლებელთა შემადგენლობის, აგრეთვე სტუდენტების უმდიდრესი ინტელექტუალური პოტენციალი, უკეთ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა საკვლევ და საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად და ამ გზით განვამტკიცოთ უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზა.

რაც შეეხება სტუდენტთა მატერიალურ უზრუნველყოფას, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა დღეს თქვა, რომ ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე პოლიტბიუროშიც და მთავრობაშიც. გვესმის, რომ იგი მომწიფდა და უნდა გადაწყდეს. ამისათვის დიდი-დიდი, დაგვჭირდება ორი-ორმილიარდ-ნახევარი მანეთი, რათა მივაღწიოთ სტიპენდიების მისაღებ დონეს. ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ პენსიების კანონის პროექტს განვიხილავდით. იგი ათმილიონობით ადამიანს ეხება, მაგრამ ძალზე ძვირიც გვიღირს — ოცდაცხრა მილიარდი მანეთი წელიწადში. ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენ პროფსაბჭოში შევიტანეთ წინადადება შვებულებათა სისტემის შეცვლის შესახებ. ეს უკვე თქვენც შეგეხებათ რამდენიმე წლის შემდეგ, ისიც საკმაოდ ძვირია — ცხრა მილიარდი მანეთი. ამრიგად, მარტო ორი კანონისათვის გვჭირდება დაახლოებით ორმოცი მილიარდი მანეთი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სტუდენტთა პრობლემები არ უნდა გადავწყვიტოთ. მიმაჩნია, რომ ჩვენ 1991 წლიდან შევუდგებით მათს გადაჭრას.

კითხვა. აბა, რაღა საჭიროა ფორუმზე შეხლა-შემოხლა, თუ კი უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობა აშკარად არ არის დამაკმაყოფილებელი? დაე, შრომითმა კოლექტივებმა განსაზღვრონ, სჭირდებათ თუ არა სპეციალისტები.

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ძალზე სერიოზული პრობლემა აღძარით. რაც შეეხება მატერიალური წარმოების სფეროს, აქ ბოლო დროს გაუმჯობესება შეიმჩნევა, რადგან სამეურნეო ანგარიში, რომლის ელემენტებსაც ჩვენ თანდათან ვახორციელებთ, შრომითს კოლექტივებს საშუალებას აძლევს თავად შეაფასონ თითოეულის წვლილი და შესაბამისად განსაზღვრონ გასამრჯელო. ასე იქცევიან იმ ქარხნებში, რომლებიც სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობენ. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რთულია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციათა მდგომარეობა. იქ უფრო მკაცრად არის ყველაფერი დალიმიტებული. ამიტომ ჩვენი ამოცანაა: რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისას მოვუმატოთ შრომის ანაზღაურება ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან მოდიან.

ახლა, რაც შეეხება მათი მომზადებით დაინტერესებას. დიახ, საწარმოები, რომლებიც ახალგაზრდა სპეციალისტებს გვთხოვენ, ვალდებული არიან მონაწილეობდნენ მათი სწავლების დაფინანსებაში. ვფიქრობ, ეს სწორია. მაგრამ მინდა გამოვთქვა ერთი მოსაზრება: ვაითუ სამეურნეო ანგარიშზე გადასულმა საწარმოებმა დაივიწყონ ინტელექტუალური პოტენციალი, როდესაც დაიწყებენ ხარჯების განსაზღვრას: რამდენი გაიღონ ხელფასისათვის, რამდენი — კვლავწარმოებისათვის. აი, მაგალითი. გადავიყვანეთ მეცნიერება სამეურნეო ანგარიშზე და მყისვე ვიგრძენით, რომ აკადემიის ინსტიტუტები რომლებიც მრავალი მომავალი წლის მარაგნაკეთით მუშაობენ, უარეს მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, ვინც სადღეისო, ამჟამინდელ პრობლემებსა და ამოცანებს წყვეტს. ისინი მნიშვნელოვანწილად არ ესატყვისება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ განვითარებას. ასეა აქაც. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამეურნეო ანგარიშის პირობებმა გზა არ გადაუკეტონ ახალგაზრდა, მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს, თორემ რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება არ გვეყოლოს კარგი სპეციალისტები. ეს კი უძრაობას მოასწავებს. ამიტომ უაღრესად ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი იმას, რომ მკვეთრად არ კლებულობდეს სპეციალისტთა რაოდენობა.

კითხვა. ხომ არ დადგა დრო, გავათავისუფლოთ სტუდენტური კოოპერატივი გადასახადით დაბეგვრისაგან?

პასუხი. ვფიქრობ, საკითხი სწორად არის დაყენებული. თუკი ჩვენ საზოგადოების გარკვეულ კატეგორიებს ხელშემწყობი სადასახადო სტიმულები შევუქმენით, მაშინ ასევე უნდა მოვიქცეთ სტუდენტობის მიმართაც.

კითხვა. სომხეთის მიწისძვრის შემდეგ გამოცხადდა: ავაღორძინოთ დაზარალებული რეგიონი ორ წელიწადში. რეალურია ეს? თუ რეალურია, რამდენად, თუ არა, რას ფიქრობთ თქვენ ამასთან დაკავშირებით.

პასუხი. დიახ, როცა მიწისძვრა მოხდა, ჩვენ შევაფასეთ სიტუაცია და დავსახეთ პროგრამა, რათა ეს რაიონი აგვეღორძინებინა ორი წლის განმავლობაში. სამთავრობო დოკუმენტებიც სწორედ ამის გათვალისწინებით მივიღეთ.

როგორი სიტუაციაა დღეისათვის? ჩვენ ჩამოვრჩებით. ვფიქრობ, ორ წელიწადში ვერ ჩავეტევით, ალბათ, კიდევ ერთი წლის დამატება მოგვიწევს. აქ ორი მიზეზია. პირველი ის, რომ ვერ გავითვალისწინეთ სომხეთში ობიექტების მშენებლობის გაძვირება, ძალზე მნიშვნელოვანი გაძვირება, რადგან გაზრდილია მოთხოვნები სეისმომედეგობის გამო: პროექტები შეიცვალა, და ახლა ერთიორად მეტის დახარჯვა გვიწევს, ვიდრე, ვთქვათ, საჭირო იქნებოდა ცენტრალურ რუსეთში. მეორე მიზეზია არასტაბილური ვითარება ამიერკავკასიაში. სატრანსპორტო ბლოკადამდე მიწისძვრის ზონაში მუშაობდა ყველა რესპუბლიკის დაახლოებით 50 ათასი მშენებელი. ისინი აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს და სხვა ობიექტებს. ბლოკადის დროს, როცა საშენი მასალებით დატვირთული შემადგენლობები ვერ გადიოდა, ადამიანების ნაწილმა დატოვა იქაურობა. ჩვენი ამოცანაა აღვადგინოთ სამუშაო რიტმი, მთელი ქვეყნის დახმარებით შევასრულოთ ის, რასაც შევპირდით სომეხ ხალხს.

კითხვა. როდის გადაწყდება პოლიგონის საკითხი ქალაქ სამიპალატინსკის რაიონში? ეს აწუხებს ახლომდებარე რეგიონის ყველა ადამიანს.

პასუხი. ჩვენ დღესვე სიამოვნებით მივიღებდით გადაწყვეტილებას გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ, მოდით, საქმეს რეალურად შევხედოთ. თქვენ იცით, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში საბჭოთა კავშირი იცავდა ცალმხრივად გამოცხადებულ მორატორიუმს და ამ ხნის მანძილზე არც ერთი გამოცდა არ მოუწყვია. არც ერთი. ჩვენ მოთმინებით ველოდით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც შეწყვეტდა გამოცდას. მაგრამ გავიდა ამდენი დრო და ამერიკელებმა განახორციელეს უამრავი აფეთქება. სრულვყოფთ რა იარაღს, ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეგრძელებინა გამოცდა. მაგრამ რა გავაკეთეთ ამავე დროს? ჯერ ერთი, მკვეთრად შევამცირეთ ბირთვული გამოცდის რაოდენობა. მეორე, თქვენ იცით, რომ შეთანხმებით დადგენილი ზღვარია 150 კილოტონა. ჩვენ მკაცრად ვადევნებთ თვალს, რომ აფეთქებათა სიმძლავრე არ აღემატებოდეს მის ნახევარს — 75 კილოტონას. ჩვენ ეს გავაკეთეთ. ახლა ვამუშავებთ აფეთქებათა რაოდენობის შემდგომი შემცირების შესაძლებლობას. მაგრამ ვფიქრობ, რომ სტუდენტობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ბირთვული გამოცდის საყოველთაო შეწყვეტისათვის ბრძოლაში, მხარდაჭერისათვის მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტობას. დროა, ბოლოს და ბოლოს, მოვრიგდეთ გამოცდის შეწყვეტის თაობაზე. მაგრამ, თუ ცალმხრივი წესით შევწყვეტთ ჩვენი იარაღის სრულყოფას, მეტად რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ.

ახლა მოგახსენებთ ამ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებზე. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებმაც კიდევ ერთხელ ყურადღებით უნდა შეისწავლონ ამ ადამიანების ცხოვრების, მათი სამედიცინო მომსახურების ყველა პრობლემა და ა. შ. 1990 წლის პირველ კვარტალში მთავრობა კიდევ ერთხელ მიუბრუნდება ამ პრობლემას, განიხილავს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

კითხვა. როგორ უყურებთ ვორკუტის გაფიცვის განახლებას, მათ შორის მეშახტეთა მოთხოვნებს ვორკუტაში დაბადებული და სწავლის შემდეგ ქალაქის საწარმოებში დაბრუნებული ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ჩრდილოეთისათვის გათვალისწინებული კოეფიციენტების გადახდის შესახებ?

პასუხი. თქვენ გახსოვთ ქვეყნის მაღაროელთა ზაფხულის გაფიცვა. ჩვენი დამოკიდებულება სავსებით გარკვეული იყო — მართლაც, ამ მეტად რთული, მძიმე, მე ვიტყოდი, გმირული პროფესიის ადამიანებს ბევრი სოციალური პრობლემა დაუგროვდათ და როცა მივუსხედით მეშახტეებთან მოლაპარაკების მაგიდას, ამის თაობაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ. გამოვიდა №608 დადგენილება. მის მომზადებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ყველა რეგიონის მეშახტეები. ქვეყნის მთავრობამ და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონეს, რაც კი შეგვეძლო, ჩვენ გავითვალისწინეთ მეშახტეთა მოთხოვნები. არა იმიტომ, რომ ისინი გაიფიცნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ მართლაც ბევრი პრობლემა აქვთ. გაგებით მოვეკიდეთ იმას, როცა ადამიანები უკიდურესი ფორმით, გაფიცვებით აყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს. ამ დადგენილების შესრულებას მთავრობა მუდამ კონტროლს უწევს.

რა თქმა უნდა, არის გადახრები მასში დასახული ვადებიდან, განსაკუთრებით შახტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში. ვერ ვიტყვი, თითქოს ყველაფერი იდეალურად სრულდებოდეს, მაგრამ ძირითადად სრულდება. ვორკუტაში მოწყობილი გაფიცვისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. მით უმეტეს, ზამთრის პირას. გაფიცულებმა წამოაყენეს ხუთი მოთხოვნა, მათ შორის საგაფიცვო კომიტეტების შენარჩუნების შესახებ. ეს საკითხი არ შედის მთავრობის კომპეტენციაში. უმაღლესმა საბჭომ განსაზღვრა შრომითი კონფლიქტების გაფიცვების მოწესრიგების წესი. და არავის არა აქვს ამ წესის დარღვევის უფლება. ამ შემთხვევაში იგი ირღვევა. 17 ნოემბერს ჩვენ ვიწვიეთ ქვანახშირის ყველა რეგიონის წარმომადგენლებს მინისტრთა საბჭოში და მთელ დღეს მივუძღვენით №608 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის განხილვას.

ახლა რაც ეხება იქ მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანებისათვის ჩრდილოეთის კოეფიციენტების გადახდას. საკითხი უნდა განვიხილოთ საერთოდ ქვეყნის მდგომარეობის თვალსაზრისით. იგი არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ ვორკუტისათვის. არის კი საამისო პირობები დღეს? ჩემი აზრით, არ არის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც მე მოგახსენეთ პენსიებზე, შვებულებებზე, სტიპენდიებზე... პრობლემა უნდა განვიხილოთ, მაგრამ არა მხოლოდ სადღეისო ვითარების გათვალისწინებით.

კითხვა. აქვს თუ არა რეზერვები მინისტრთა საბჭოს სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რა თანხაა ეს?

პასუხი. თანხაზე უკვე გითხარით, არავითარი რეზერვი არ არის. მოდით, ვიფიქროთ, სად ვიშოვოთ ეს ყველაფერი.

კითხვა. რატომ არ იღებენ უმაღლესი სასწავლებლები უცხოელი სტუდენტების სწავლებისათვის სავალუტო შემოსულობათა თუნდაც მინიმალურ პროცენტს?

პასუხი. ვფიქრობ, ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ.

კითხვა. როგორია ინფლაციის დონე ქვეყანაში? როგორია სსრ კავშირის სახელმწიფო დავალიანება? რამდენად დიდია დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან?

პასუხი. როგორია ინფლაციის დონე? ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ არ გვქონდა ინფლაციის ტემპის განსაზღვრის მეთოდიკა. ახლა სსრ კავშირის სტატსახკომმა შეიმუშავა იგი. შევეხები ამ პრობლემის ორ მხარეს.

ჩვენ შეწონასწორებული არა გვაქვს ბაზარი, ამიტომ ბრუნვაში ბევრი ფულია, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური უზრუნველყოფა. ესეც თავისებური ინფლაციაა. თუ ვილაპარაკებთ ფასების ინფლაციაზე, ჩვენი სპეციალისტების აზრით, საშუალოდ, მე ხაზგასმით აღვნიშნავ, საშუალოდ, იგი წელს შეადგენს დაახლოებით 2,2 პროცენტს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მასობრივი მოთხოვნილების საქონლის ნაწილზე (რძისა და სხვა პროდუქტების გარდა, რომლებზეც ფასები სტაბილურია) ფასები მატულობს საშუალოზე მეტად, განსაკუთრებით ბოსტნეულსა და ხილზე. ადამიანებს ყოველდღე სჭირდებათ სურსათი, და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს პროცენტი „ცრუ“ ციფრია, რომ ინფლაცია სინამდვილეში მეტია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფასები სახალხო მოხმარების საქონლის ნაწილზე შედარებით სტაბილურია.

როგორია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე? ჩვენ 1989 წელი დავიწყეთ 120 მილიარდი მანეთი დეფიციტით, ანუ ბიუჯეტის 20 პროცენტზე მეტით. ეს დაუშვებელია, ბევრი უწესივრობა — სამომხმარებლო ბაზარზეც, წარმოების სფეროშიც, სადაც არ არის საკმარისი საშენი და სხვა მასალები, აიხსნება სწორედ იმით, რომ ბაზარი შეუწონასწორებელია. ახალი, 1990 წელი, შეფასების მიხედვით, დაიწყება დაახლოებით 95 მილიარდი მანეთის დეფიციტით. როგორც ვხედავთ, განხორციელებული ღონისძიებანი რამდენადმე შეამცირებს დეფიციტს. უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის გეგმის დამტკიცებისას მხარი დაუჭირა მთავრობის წინადადებას, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატებოდეს 60 მილიარდ მანეთს. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ სანამ მას არ მივიყვანთ მისაღებ მაქსიმუმამდე, რაც მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2-3 პროცენტს შეადგენს, ვერ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას. რამდენი წელი დასჭირდება იმას, რომ აღმოვფხვრათ სახელმწიფო ბიუჯეტის დაუშვებელი დეფიციტი, ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ მიმდინარე წლის 12 დეკემბერს სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე, როცა მთავრობა წამოაყენებს წინადადებებს მომდევნო ხუთწლედისათვის ეკონომიკის გაჯანსაღების შესახებ. ჩვენ ახლა ვმუშაობთ მათზე. არ მინდა წინ გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ, ალბათ, 1990 წლის გარდა, დაგვჭირდება მეტად დაძაბული მუშაობა 1991-1992 წლებში, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მისაღებ დონემდე შემცირდეს.

კითხვა. გადაეცემა თუ არა დარგობრივი დაქვემდებარების სასწავლებლები რესპუბლიკების სახალხო განათლების სისტემას?

შეიცვლება თუ არა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიისაგან დაზარალებულ რაიონებში ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების პრაქტიკა?

პასუხი. ბოლო წლების განმავლობაში უმაღლესი სკოლის ამა თუ იმ საჭიროებათა განხილვისას ყოველთვის წამოიჭრებოდა ხოლმე პრობლემა: დავტოვოთ უმაღლესი სასწავლებლები სახალხო მეურნეობის გარკვეული დარგების გამგებლობაში, თუ დავუქვემდებაროთ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტს? განსხვავებული აზრები გამოითქვა. ჩვენ შევეცადეთ რამდენიმე წლის წინათ დარგობრივი ინსტიტუტები გადაგვეცა სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის. ყველამ კატეგორიული უარი განაცხადა. როცა დაიშალა სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში კი გვქონდა ასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი, გვინდოდა ისინი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადაგვეცა. მივიღეთ ყველა ამ ინსტიტუტის, მათ შორის სტუდენტების წერილები, რომლებშიც კატეგორიულად მოითხოვდნენ არ გადაგვეცა ისინი რესპუბლიკებისათვის და შეგვენარჩუნებინა ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურა. იძულებული ვიყავით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათის სახელმწიფო კომისიასთან შეგვექმნა უმაღლესი სასწავლებლების სამმართველო. ვფიქრობ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა ამ საკითხების განხილვა და გადაწყვეტა.

ჩერნობილის სადგურში მომხდარი ავარიით დაზარალებულ რაიონებში ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებაზე მოგახსენებთ. ახალგაზრდა სპეციალისტები მუშაობდნენ იქ და იმუშავებენ. თუ არა მათ, ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს, რომელიც იქ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. სხვა საქმეა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებს უნდა შევუქმნათ მატერიალური სტიმულები იქ არსებული სირთულეების გათვალისწინებით. ამ ბარათთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გადავხედავთ, რა ეშველება ამ საქმეს.

ნ. ი. რიჟკოვმა უპასუხა აგრეთვე ფორუმის მონაწილეთა მთელ რიგ სხვა კითხვებს.

დიალოგი გარდაქმნის ინტერესებისათვის

სამ კვირაზე ცოტა მეტი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეორე სესიაზე ყველასათვის სამახსოვრო გამოსვლიდან. სამახსოვრო იმიტომ, რომ, როგორც მან გააცნო სესიას უწყების მუშაობა, რომელსაც იგი მეთაურობს, აღდგენილია ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის დროს არსებული პრაქტიკა, როცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი საბჭოების ყრილობას წარუდგენდა ხოლმე თავის ყოველწლიურ ანგარიშს. იმ დღეს ე. ა. შევარდნაძეს უამრავი კითხვა დაუსვეს. მაგრამ დროის მწვავე დეფიციტის გამო, რაც დაკავშირებული იყო დეპუტატების მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტის განხილვასთან, ეს კითხვები უპასუხოდ დარჩა. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობისადმი ინტერესი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა მთლიანად დაიკმაყოფილეს მინისტრთან ახალი შეხვედრის დროს. იგი გაიმართა 17 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ა. ს. ზასოხოვის თავმჯდომარეობით.

დეპუტატების წინაშე გამოვიდა **ე. ა. შევარდნაძე.**

ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, თქვა მან, განხორციელდა ზოგიერთი საგარეო-პოლიტიკური აქცია, რომლებიც მინდოდა გამეცნო საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წევრებისათვის.

გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ფინეთში. მრავალი პარამეტრით იგი ევროპის პოლიტიკაში არაორდინარული, მართლაც დიდი მოვლენა გახდა. ჰელსინკის მოლაპარაკება, კაცმა რომ თქვას საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის მთელი პრაქტიკა პასუხს იძლევა ბევრ კითხვაზე, რომლებიც წამოიჭრება ხოლმე ევროპასთან ჩვენი ურთიერთობის კომპლექსის გარდაქმნის კვალობაზე.

ფინეთის ხელმძღვანელობას — და ეს ასახავს მრავალი ევროპული ქვეყნის განწყობილებას, — მიაჩნია, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს ჩვენს გარდაქმნასა და კონტინენტზე, საერთოდ მსოფლიოში პოზიტიურ ტენდენციათა გამტკიცებას შორის.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის დეკლარაცია — „ახალი აზროვნება მოქმედებს“ — მოწმობს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებით ისეთ განსხვავებულ ორ სახელმწიფოს, როგორიც სსრ კავშირი და ფინეთია, შეუძლიათ იმოქმედონ ერთად საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში ახალი აზროვნების დასაჩქარებლად.

ვიზიტმა მოგვიტანა მთელი რიგი პრაქტიკული, კონკრეტული შედეგები. ფინეთმა მხარი დაუჭირა ჩვენს იდეას, მოეწყოს ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელმძღვანელთა ახლანდელი თაობის შეხვედრა. იგი მზად არის გახდეს „ჰელსინკი-2“-ის მასპინძელი ქვეყანა. ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან მორიგებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ურთიერთმოქმედების, ქიმიური იარაღის აკრძალვის საქმეში თანამშრომლობის შესახებ. ერთი სიტყვით, ამ ქვეყანამ კვლავ გვიჩვენა, რომ საიმედო პარტნიორია საერთაშორისო საქმეებში.

იგივე შეიძლება ითქვას საერთოდ ჩრდილოეთის რეგიონის შესახებ. მურმანსკის პროგრამა, რომელიც დავსახეთ ორი წლის წინათ, არსებობს და მოქმედებს. ვიზიტის დროს იგი განვითარდა ბალტიკის მიმართ. ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ უბირთვო სტატუსი მიენიჭოს ზღვის აკვატორიას, ეკოლოგიურად აღორძინდეს იგი. ამას გარდა, დამყარდეს კონტაქტები ჩრდილოეთის საბჭოსთან. ეს მიგვაჩნია ევროპის ქვეყნებთან ურთიერთმოქმედების, საერთო ევროპული უშიშროების ჩრდილოეთის ფრთის განმტკიცების დამატებით არხად.

მოგახსენებთ ფინეთთან ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ვიზიტმა მას ახალი პოლიტიკური, ჰუმანიტარული და ეკონომიკური შინაარსი შესძინა.

ფინეთის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა იმას, რომ ჩვენ საჯაროდ კეთილი სიტყვით მოვიხსენიეთ ფინეთის ნეიტრალიტეტი, მოვხსენით ორჭოფობა ამ საკითხში. ახლა ორივე მხარე ხელმძღვანელობს იმით, რომ ხელშეკრულება სსრ კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და ფინეთის ნეიტრალიტეტი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ განამტკიცებენ ერთმანეთს.

ჩვენ დავთქვით, რომ ჩვენი ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური უწყებანი თვალს ადევნებენ ვიზიტის დროს მიღწეული მორიგებებისა და შეთანხმებების პრაქტიკულ შესრულებას. ვფიქრობ, რომ ამ დარგში მდგომარეობის პირველ ინვენტარიზაციას განვახორციელებთ მომავალი წლის შუა პერიოდამდე, სსრ კავშირში ფინეთის პრეზიდენტის ვიზიტამდე.

მოკლედ შევეხები პოლონეთთან ჩვენს ურთიერთობას. არჩევნების შედეგად იქ შეიქმნა ვითარება, როცა ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, რომელშიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია პარტნიორად გვევლინება.

როგორ უნდა აღვიქვათ მომხდარი ამბავი? უწინარეს ყოვლისა, როგორც პოლონეთის საშინაო საქმე. არჩევნები კანონიერი იყო, და მოეწყო არჩევნების შესახებ დებულების შესაბამისად. მთავრობა შეიქმნა. ხალხმა გააკეთა არჩევანი. იგი ცნო და მას პატივს სცემს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. არავითარი საფუძველი არ გვაქვს პატივი არ ვცეთ პოლონელი ხალხის ნებას.

პოლონეთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა ევროპის პოლიტიკისა და უშიშროების სისტემაში. იგი ჩვენი მეზობელია, და ეს მასთან ჩვენს ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენთვის მთავარია სტაბილურობა პოლონეთში. ამ თვალსაზრისით მდგომარეობა ახლა იქ უკეთესია, ვიდრე იყო. როგორია პერსპექტივები?

მაზოვეცკის მთავრობას მხარს უჭერენ. მაგრამ ბევრ რამეში ეს საავანსო მხარდაჭერაა. მოსახლეობამ მთავრობას ნდობის კრედიტი მისცა. ქვეყანაში მიმდინარეობს გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია. მინდა სრულიად გარკვეულად ვთქვა: დაინტერესებული ვართ იმით, რომ მაზოვეცკის მთავრობამ თავი გაართვას სიძნელეებს, რომ პოლონეთის ეკონომიკა ამუშავდეს. ვიმეორებ, პოლონეთის სტაბილურობა ჩვენი ეროვნული უშიშროების ფაქტორია, და ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სტაბილიზაციას. ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ ერთგულობს სამოკავშირეო შეთანხმებებს, სურს განავითაროს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ყველა დარგში.

რა იცვლება ჩვენს ურთიერთობაში? მე ვიტყოდი, პასუხისმგებლობის დონე. უწინარეს ყოვლისა, ხელი უნდა მოვკიდოთ ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას. ჩამოყალიბებული მექანიზმი დიდი ხანია ხელს არ გვაძლევს არც ჩვენ, არც პოლონელებს.

მეტად მწვავედ დგას ჩვენი ერთობლივი მეტად რთული ისტორიის „თეთრი ლაქების“ საკითხი. მართლაც, იგი მეტად რთული და ხანგრძლივია. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე უშვებდა მოქმედებას, რომელიც დღემდე ჩირქს სცხებს ჩვენს ურთიერთობას. აქ უნდა დავუბრუნდეთ პირველი მსოფლიო ომის დროსაც, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციების პერიოდსაც კი. განსაკუთრებით მწვავედ დგას 1939 წლის, კატინის, პოლონელთა წინააღმდეგ სხვადასხვა პერიოდის რეპრესიების საკითხები. ოცდაცხრამეტ წელზე მუშაობს უზენაესი საბჭოს კომისია. როგორც მესმის, იგი მალე წარმოგვიდგენს თავის დასკვნებს. კატინის საქმეზე მუშაობს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეცნიერთა ერთობლივი ჯგუფი. საჭიროა, რომ მან დააჩქაროს მასალების შესწავლა, დაადგინოს, არის თუ არა მოვლენათა არსებული ვერსიის გადასინჯვის საფუძველი.

პოლონეთისა და სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებებმა იკისრეს ვალდებულება თვალი ადევნონ ამ მუშაობას. ორივე ქვეყნის ინტერესებშია ობიექტური შეფასება მივცეთ მომხდარს, დეტალურად გავერკვეთ ყველაფერში.

უნდა ითქვას, რომ პოლონეთში ახსოვთ არა მარტო „თეთრი ლაქები“, არამედ ისიც, რომ 600 ათასზე მეტმა საბჭოთა ჯარისკაცმა და ოფიცერმა თავი დადო პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ახსოვთ, ისევე როგორც გვახსოვს ჩვენც, რომ ათასობით პოლონელი მოქალაქე იბრძოდა ჩვენს მიწა-წყალზე ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის ახალი პერიოდი მოითხოვს ჩვენგან ახალ მიდგომას, გაბედულ გადაწყვეტებს, ჭკვიანურ პოლიტიკას, გაგებისა და ტაქტის გამოვლენას.

ჩვენ და პოლონეთს მსგავსი ეროვნული ინტერესების უზარმაზარი ზონა გვაქვს, რომელიც გაპირობებულია გეოსტრატეგიული ფაქტორებით და ევროპის რეალობებით. სწორედ ამის საფუძველზე უნდა აიგოს ჩვენი ურთიერთობა.

მალე ჩვენთან ჩამოვა პრემიერ-მინისტრი მაზოვეცკი. შემდეგ გაიმართება საგარეო საქმეთა მინისტრის სკუბიშევსკის ვიზიტი. ესენი დიდად განათლებული, თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანები არიან. მათ არა აქვთ აჩემებული აზრი საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ უწინდებურად გვექნება უაღრესად მჭიდრო კონტაქტები პოლონელ კომუნისტებთან. მეგობრების ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ახალ ხელისუფლებასთან დიალოგის ჩვენეულ გეზს. აქ ისინი წყენას და ეჭვიანობას არ იჩენენ. თავის მხრივ, პოლონეთის ახალი მთავრობა მშვიდად აღიქვამს ჩვენს ურთიერთობას მეგობრებთან, სავსებით ნორმალურ მოვლენად მიაჩნია ეს. ამაზე ალერგია მას არა აქვს.

დასასრულ მინდა მოგახსენოთ, რომ პოლონეთში დიდად აფასებენ პოზიციას, რომელიც დაიკავა საბჭოთა კავშირმა იქ მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

რამდენიმე სიტყვა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომის შესახებ. ვაღიარებ, მეტისმეტი გრძნობიერებით ვეკიდებოდით ამ სხდომის მომზადებას. არადა, ჩვენ ხომ უკვე სხვა ვარშავაში შევიკრიბეთ, იქაც ბევრი რამ შეიცვალა.

არ შევუშინდები სიტყვას „მიჯნა“. ჩვენ მართლაც აღმოვჩნდით ასეთ ეტაპზე. უჩვეულოდ ჟღერს მიმართვა „ბატონო“ იქ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ყველანი „ამხანაგები“ იყვნენ.

სხდომას, უთუოდ, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მთავარი შედეგია კონსტატაცია, რომ ჩვენი კავშირი ეფუძნება მონაწილე ქვეყნების საერთო ეროვნულ ინტერესებს, აგრეთვე ის, რომ ყველა მინისტრმა დაადასტურა ვარშავის ხელშეკრულების მიმართ სამოკავშირეო მოვალეობების ერთგულება. უფრო მეტიც, უნგრეთმა, განსაკუთრებით პოლონეთმა, სხვა ქვეყნებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ ემხრობიან კავშირის განმტკიცებას მუდმივი პოლიტიკური ორგანოს შექმნის გზით. იმის მიმართ, რომ საჭიროა ასეთი ორგანოს არსებობა, კავშირში მწიფდება კონსენსუსი.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კავშირი მტკიცედ უძლებს მეტად სერიოზულ გამოცდას, ცხადყოფს თავის მყარ სიცოცხლისუნარიანობას. კავშირის ფუნქციონირების პოლიტიკური ასპექტების თაობაზე არ მომხდარა რაიმე უთანხმოება.

ვარშავის სხდომაზე პირველად ესწრებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრები. გაიმართა აზრთა გაზიარება ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. გამოითქვა ერთსულოვანი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა საფუძვლიანად, ღრმად, რადიკალურად გარდაიქმნას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის მექანიზმიც. კრიტიკულად შეფასდა თანამშრომლობის ორმხრივი მექანიზმებიც. აქაც ბევრი რამ არის შესაცვლელი. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ გადავიდეთ მსოფლიო ფასებით და კონვერტირებული ვალუტით ანგარიშსწორებაზე.

სხდომამ ცხადყო, რომ ეკონომიკა შეიძლება ითქვას, ჩვენი კავშირის ყველაზე სუსტი ადგილია. ამ მიმართულებით გვჭირდება გაბედული, ნოვატორული მიდგომა და გადაწყვეტები.

ე. ა. შევარდნაძემ მოკლედ დაახასიათა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ვითარება.

იქ მიმდინარე პროცესები, თქვა მინისტრმა, ბუნებრივი და ისტორიულად განპირობებულია. მიმდინარეობს დემოკრატიზაცია. სოციალიზმის განახლება, ხალხთა თავისუფალი არჩევანის უფლების რეალიზაცია. ევროპის პირობებში ამ უფლებას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომთან, მის შედეგებთან, ომისშემდგომ პოლიტიკურ და ტერიტორიულ მოწყობასთან. ევროპის რეალობანი — ეს არის უწინარეს ყოვლისა ორი გერმანული სახელმწიფოს, ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის არსებობა. ეს არის საზღვრები, რომლებიც დადგინდა ომის შემდეგ და განმტკიცდა მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. მათ შორის, ისეთებით, როგორიც არის მოსკოვის ხელშეკრულება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ, ჰელსინკის საბოლოო აქტი.

ამ რეალობებზე დგას ევროპის უშიშროება და სტაბილურობა. არავის არა აქვს უფლება შეეცადოს, რომ ცალმხრივი წესით შეცვალოს ეს რეალობანი. ისინი ჩვენი საერთო მემკვიდრეობაა და მისი განკარგვა შეიძლება მხოლოდ ერთად, მხოლოდ საერთო თანხმობით. ასეთ თვალსაზრისს იზიარებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ეს დაადასტურა მოსკოვში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან რ. დიუმასთან გამართულმა საუბრებმა.

წარსული არ უნდა განმეორდეს. ევროპას და მსოფლიოს ძვირად დაუჯდათ დაშვებული შეცდომები. საბჭოთა ხალხს არ ავიწყდება და ვერც დაივიწყებს ისტორიის გაკვეთილებს. ეს განსაზღვრავს ახლაც და მომავალშიც ჩვენს დამოკიდებულებას ევროპაში მიმდინარე პროცესებისადმი.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ცვლილებისა, რომ ვცდილობთ გაყინული დარჩეს ევროპის ყველა რეალობა. არაფერი მარადიული არ არის, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს სამხედრო კავშირები. უეჭველია, შეიცვლება ევროპის რეალობანიც. მაგრამ ეს რეალობანი ფაქიზი ბალანსის მდგომარეობაშია, რომლის დარღვევასაც შეიძლება, მძიმე შედეგები მოჰყვეს ევროპის ყველა ხალხისათვის, საერთოდ მსოფლიოსათვის. კაცმა რომ თქვას, არც იმის თქმა იქნება სწორი, თითქოს საერთო სიტუაცია ევროპაში არ იცვლებოდეს. პირიქით, ბოლო წლებში სწორედ ევროპაში ხდებოდა დინამიკური ცვლილებები. ეს ცვლილებები მიმდინარეობს ჰელსინკის პროცესის ფარგლებში საერთო-ევროპული კონსენსუსის ძიების მეოხებით.

ვენის მორიგებანი ეტალონია იმისა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს ცვლილებები ევროპაში. მთავარი ამოცანაა, განვაგრძოთ სამხედრო კონფრონტაციის დონეთა შემცირების გეზი, ამასთან ვიმოძრაოთ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების დაშლის მიმართულებით. არ უნდა შევეცადოთ თავს მოვახვიოთ სხვებს ჩვენი შეხედულება, ჩვენი ფილოსოფია. ეკონომიკურ თანამშრომლობას არ უნდა ვაპირობებდეთ იდეოლოგიური პირობებითა და მოთხოვნებით. არ არის საჭირო სხვის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებში ჩარევა.

განსაკუთრებით მკაცრად უნდა დავიცვათ ეს გერმანიისა და გერმანელთა საკითხებში. ვფიქრობ, როგორი პოზიციითაც უნდა მივუდგეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ვითარების განვითარებას, უნდა მივესალმო ამ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის გაბედულ განმაახლებელ ნაბიჯებს. ისინი შეესაბამება სოციალიზმის ინტერესებს, საერთო ევროპულ ინტერესებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ინტერესებს, ვარშავის ხელშეკრულებაში მათი მოკავშირეების ინტერესებს. ეს მიმდინარეობს ჰელსინკის პროცესის განვითარების, ვენის მორიგებათა განხორციელების, საერთო ევროპული სახლის იდეათა რეალიზაციის კალაპოტით.

ჩვენ მხარს ვუჭერთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის განახლებისა და დემოკრატიზაციის კურსს, ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ბოლო დღეებში სერიოზული ცვლილებები მოხდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ბულგარეთში არსებითად განახლდა მთელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, და როგორც ვიცით, ახალ ხელმძღვანელებს მეტად საინტერესო იდეები აქვთ გარდაქმნის, ბულგარეთის სოციალისტური საზოგადოების განახლების კონცეფციის შესახებ. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ბულგარეთის ახალი ხელმძღვანელობის ამ კურსს.

ყველამ, ვინც შეეცდება საქმე წარმართოს თვითნებური ხასიათის ცვლილებების გზით, და გვერდი აუაროს შეთანხმების შემუშავების არსებულ საერთო ევროპულ ინსტიტუტებს, უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ჰელსინკის პროცესის ჩაშლისათვის, „ახალი ევროპის“ საერთო ევროპული სახლის მშენებლობის იმედების გაცრუებისათვის.

ჩვენ მაინც უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც მიღწეულია საერთო ძალებით უშიშროების, ადამიანის უფლებების, ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში. პოზიტიური ძვრები — მნიშვნელოვანი ძვრები — შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საერთო ევროპული საწყისი დაუკავშირდა ყველა ევროპული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. ამ პრინციპიდან გადახვევა, რომელმაც გაამართლა იმედი, ევროპას უკან დასწევს. არ უნდა დავუშვათ, რომ დავუბრუნდეთ წარსულის იდეოლოგიზირებულ სტერეოტიპებს. აქედან ერთი ნაბიჯიღა დარჩება ახალ „ცივ ომამდე“.

ასეთი საშიშროება კი არის. დასავლეთში გაისმის ხმები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს მიმდინარე ცვლილებები ძალის პოზიციიდან პოლიტიკის შედეგი იყოს, რომ მოძრაობა მიმდინარეობს დასავლეთის ღირებულების მიმართულებით და რომ მისი შეუქცევადობის გარანტია ძლიერი დასავლეთი.

მე საპირისპიროს ვამტკიცებ, თქვა ორატორმა. პოზიტიური ცვლილებები მოჰყვა ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც გამოწვეულია საერთო საქმეებში ძალის როლის ხელახალი გააზრებით. სწორედ მეტი უშიშროების გრძნობა, რომელიც წარმოიშვა ახალი პოლიტიკური აზროვნების, შეიარაღების რეალური შემცირების გზაზე გადადგმული ნაბიჯებისა და ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შედეგად, საშუალება მოგვცა ჩვენც, და სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც შევდგომოდით პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. დემოკრატიისა და თავისუფლების დასავლურ ღირებულებებად მიჩნევა კი ნიშნავს იჩენდე მეტისმეტ ამპარტავნობას, კადნიერებას, შეპყრობილი იყო „დასავლური დიდების“ მანიით. საკაცობრიო ღირებულებები არ უნდა განისაზღვრებოდეს „დასავლური ღირებულებებით“. რატომ უნდა გავაღარიბოთ კაცობრიობა! მისი სულიერი სფერო გაცილებით უფრო ფართო და მდიდარია. მასში ღირსეულად არის წარმოდგენილი სოციალისტური სეგმენტი და არადასავლური სექტორი. ის, ვინც ჩქარობს სოციალიზმის დამარხვას, ასეთი განცხადებები კი კეთდება, შეიძლება მხოლოდ ვურჩიოთ, ნუ გაიმეორებენ წარსულის შეცდომებს. სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები ადასტურებს, რომ სოციალიზმი ცოცხლობს, იხვეწება, ახალ სახეს იძენს, კაცობრიობას უსახავს იმედს, რომ გადაწყდება თანამედროვეობის ბევრი გლობალური პრობლემა.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი ახალი რევოლუცია გვევლინება მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების ლოკომოტივად, სასიკეთო გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, იწვევს საერთაშორისო კლიმატის დათბობას. ჩვენ რწმენით შევყურებთ მომავალს. არ მეეჭვება, თქვა მინისტრმა, — მე ეს ვთქვი ნიუ-იორკის საგარეო პოლიტიკის ასოციაციაში, — რომ მესამე ათასწლეულის სანიმუშო საზოგადოებრივ წყობილებისათვის დამახასიათებელი იქნება კაცობრიობის მთელი პოზიტიური გამოცდილების სინთეზი. დღეს უკვე ვხედავთ საკაცობრიო კონსოლიდაციის ნიშნებს ბირთვული, ეკონომიკური, ეკოლოგიური საფრთხის პასუხად, რომელიც ემუქრება ჩვენს ცივილიზაციას. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გადარჩენას. რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, ხსნის მით უფრო მეტი შანსი გვექნება.

ახლა პარიზში მიმდინარეობს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ აღმოსავლეთ ევროპის ბოლო მოვლენებს. პოზიტიურად მიგვაჩნია გაერთიანების მისწრაფება გაერკვეს ახლა მიმდინარე პროცესებში, შეიმუშაოს მათ მიმართ თავისი დამოკიდებულება. იგი, ჩემი აზრით, აღნიშნა ე. ა. შევარდნაძემ, უნდა განისაზღვროს იმით, რომ ყველას ინტერესებს შეესაბამება სტაბილური, უსაფრთხო, დემოკრატიული ევროპა. საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე განახლების პროცესებს ამ გზით მივყავართ.

დღესასწაულის შემდეგ მოსკოვში იყვნენ შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. სსრ კავშირში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ვიზიტებს. ამ ვიზიტებმა ჩაიარა ბოლო დროს აქტიურად მიმდინარე საერთო ევროპული დიალოგის კალაპოტით. საუბრებმა ცხადყო, რომ არის ფართო თანხმობა ჰელსინკის პროცესის წინსვლის შემდგომი გზების თაობაზე.

ევროპის მიმართულებით პოლიტიკა ორიენტირებულია ორ საერთო ევროპულ ღონისძიებაზე. ეს არის 1992 წელს „ჰელსინკი-2“ უმაღლესი დონის თათბირის მოწვევა და 1990 წელს სამხედრო კონფრონტაციის დონეების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ შეთანხმების დადებისათვის ევროპის სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ლიდერების შეხვედრები. აქ საბჭოთა კავშირს აქვს ურთიერთგაგება შვეციასთანაც, საფრანგეთთანაც.

ბუნებრივია, განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. ვგრძნობთ, რომ ჩვენს პარტნიორებს სურთ განავითარონ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, გამონახონ ურთიერთხელსაყრელი გაცვლის ახალი ფორმები. ისახება ძალზე საინტერესო შესაძლებლობანი კადრების მომზადებაში თანამშრომლობისათვის, ერთმანეთის გამოცდილების შესწავლის, რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების ხაზით, ბევრ სხვა სფეროში კონტაქტების დამყარებისათვის. საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ორ ქვეყანასთან ჩვენი ურთიერთობა მეტად კარგია და მას სასიკეთო პერსპექტივა აქვს, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

ამ დღეებში ისტორიული მოვლენა მოხდა — დაინგრა კლასიკური კოლონიალიზმის უკანასკნელი ბასტიონი. ნამიბიაში გაიმართა არჩევნები, რომლის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციამ მიიღო ქვეყნის ხელმძღვანელობის მანდატი. ჩვენ ვულოცავთ ნამიბიელ ხალხს დამოუკიდებლობის მოპოვებას და ვუსურვებთ მას წარმატებებსა და აყვავებას. ჩვენ ვუსურვებთ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციას არჩევნებში გამარჯვებას. იგი აგვირგვინებს ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნამიბიის პატრიოტული ძალების ხანგრძლივ ბრძოლას. ნამიბიის მაგალითით ჩანს ახალი პოლიტიკური აზროვნების რეალური შედეგი, დადასტურება იმისა, რომ ყველაზე რთული საკითხები შეიძლება გადაწყდეს პოლიტიკური საშუალებებით.

ნამიბიელმა ხალხმა თავისუფლება მოიპოვა მსოფლიო გაერთიანების კოლექტიური მოქმედების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მტკიცე პოზიციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ძალისხმევის, ფრონტისპირა სახელმწიფოების, აფრიკელთა ერთიანობის ორგანიზაციის მხარდაჭერის მეოხებით. ამაში უდიდესი როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელმაც უზრუნველყო ნამიბიაში გარდამავალი პერიოდის ღონისძიებათა განხორციელება, თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენმა ქვეყანამ არსებითი წვლილი შეიტანა — პოლიტიკური და მატერიალურიც კი (57 მილიონი დოლარი) ნამიბიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მატერიალური უზრუნველყოფისა და ნამიბიის პრობლემის სამართლიან გადაჭრაში. საბჭოთა კავშირი მზად არის ითანამშრომლოს თავისუფალი, დამოუკიდებელი ნამიბიის პირველ მთავრობასთან.

ორატორმა კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაპყრო ლიბანის სიტუაციას. როგორც იცით, აღნიშნა მან, საბჭოთა დიპლომატია მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდ ძალისხმევას იჩენდა, რათა ხელი შეეწყო მშვიდობა დამყარებულიყო ამ ქვეყანაში. ჩვენ მუდამ მხარს ვუჭერდით ღონისძიებებს, რომლებიც ლიბანში საომარი მოქმედების შეწყვეტის იმედს სახავდა.

ბოლო დროს ლიბანის პატრიოტული ძალები გაერთიანდნენ, შეიმუშავეს ეროვნული ერთიანობის ქარტია, პარლამენტმა კი აირჩია ქვეყნის ახალი პრეზიდენტი. გაჩნდა ლიბანში სტაბილიზაციისა და მშვიდობის რეალური პერსპექტივა. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა არაბული სახელმწიფოების სამთა ლიგის კომიტეტის შუამავლობის, სირიის კონსტრუქციული პოზიციის, მრავალი არაბული და სხვა ქვეყნების დიპლომატიური აქტიურობის მეოხებით.

ახლა უაღრესად საჭიროა მიღწეულის განმტკიცება. ჩვენ მოვუწოდებთ ლიბანის ყველა მხარეს გამოიჩინონ კეთილგონიერება და სიდინჯე, იმოქმედონ მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით.

მოკლედ შევჩერდები მომავალ მოვლენებზე. უახლოეს დროში გაიმართება კანადის პრემიერ-მინისტრის ბ. მალრუნის ვიზიტი. კანადასთან მართლაც კეთილი, კარგი, თანასწორი და ხელსაყრელი ურთიერთობა გვაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ვიზიტი ჩვენი ურთიერთობის ეტაპობრივი მოვლენა გახდება. მალე მოეწყობა იტალიაში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი, რომელიც პირველი იქნება ამ ქვეყანასთან ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში: გაიმართება პირველი შეხვედრა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურთანაც.

საბჭოთა კავშირ-იტალიის დიალოგი გამოირჩევა თავისი შესამჩნევი არაფორმალურობით, მე ვიტყოდი, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, გულთბილი ხასიათით. იგი ბევრ რამეს იძლევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთმოქმედების შესაძლებლობათა გაგების, საერთო ევროპული პროცესის წინსწრევის პერსპექტივების თვალსაზრისით.

ჩვენ ვეთანხმებით იტალიის პრემიერ-მინისტრის ჯ. ანდრეოტის აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენი დიალოგი არა მარტო გააღრმავებს საერთო ევროპული სახლის კონცეფციას, არამედ ხელს შეუწყობს კიდეც მისი პრაქტიკული რეალიზაციის უფრო ინტენსიური და დინამიკური რეალიზაციის დაწყებას.

იტალიასთან ორმხრივი ურთიერთობაც კარგი მყარდება. ეს ურთიერთობა, უეჭველად, ახალ იმპულსს შეიძენს მომავალი უმაღლესი დონის მოლაპარაკების მეოხებით. მისთვის მომზადებულია დიდი და მნიშვნელოვანი შეთანხმებების სოლიდური პაკეტი. ასე რომ, ამ ვიზიტისაგან მნიშვნელოვან შედეგებს უნდა ველოდოთ.

შევეხები საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას. იგი როგორც გამოცხადებული იყო, მოეწყობა ფიქსირებული დღის წესრიგის გარეშე. დაგეგმილია, რომ ამ შეხვედრაზე დაიდოს რაღაც შეთანხმებები. ეს შეთანხმებები ჯერჯერობით უბრალოდ არ არის. მაგრამ ამ შეხვედრას — ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის და, მაშასადამე, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის.

ძირითადად მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ორმა ხელმძღვანელმა მიმართოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ კონსტატაციებს და სერიოზულ კონცეპტუალურ საკითხებს, აღნიშნა მინისტრმა. ამის საფუძველი არის. იგი საფუძვლად უდევს იმ დიალოგის მიმდინარეობას, რომელიც პროდუქტიულად ვითარდება ჟენევის ისტორიული უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ. გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ასეთ დონეზე განხილვას მსოფლიო პოლიტიკაში დიდი კონცეპტუალური წინ გაჭრა მოჰყვება ხოლმე.

საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, საქმე მოლაპარაკების შედეგად მიღებული ფორმალური ქაღალდები კი არ არის, არამედ ის რეალური იმპულსებია, რომლებსაც ეს მოლაპარაკება იძლევა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღწევისათვის. არ მეეჭვება, რომ მომავალი შეხვედრა შედეგიანი იქნება ამ თვალსაზრისით. იგი ბევრ რამეში წინასწარ განსაზღვრავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დღის წესრიგის ყველა ელემენტის თაობაზე შესაძლო გადაწყვეტილებათა მასშტაბს, დაადგენს მათი მიღწევის ვადებს, ხაზგასმით აღნიშნა ე. შევარდნაძემ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა დეპუტატთა მრავალ კითხვას.

მძიმეზე კონსტრუქციული გადაწყვეტილებების გზებს

17 ნოემბერს კრემლში, როგორც დასახული იყო, გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და მთავრობის წევრთა შეხვედრა მეშახტეთა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან. საუბარი ეხებოდა იმას, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 3 აგვისტოს № 608 დადგენილება, რა ვითარება შეიქმნა დღეს ქვეყნის ქვანახშირის რეგიონებში.

შეხვედრის დაწყებისთანავე წინადადება დაისვა იგი მოეწყოთ იმ გაგების გათვალისწინებით, რომ კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგება მიღწეული უნდა იყოს პრინციპულ და რეალისტურ საფუძველზე და არ ეწინააღმდეგებოდეს კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანისათვის გამიზნულ მეცადინეობას. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა მხარე იქცეოდეს პასუხისმგებლურად და აწონდაწონილად — არავის არ აძლევდეს ნებას ისარგებლოს დაძაბული ვითარებით, საძრახისი, ანტისაზოგადოებრივი მიზნით.

აღინიშნა, რომ იმ ეკონომიკურ სიძნელეთა ფონზე, რომელსაც ქვეყანა განიცდის, განსაკუთრებით მწვავე ვითარება შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობაში. აქ ყველაზე უფრო რელიეფურად გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არა წყდებოდა.

გაიმართა მტკივნეული საკითხების მწვავე, მაგრამ ამავე დროს კონსტრუქციული განხილვა. ქვანახშირის აუზების წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გულახდილად გამოეთქვათ აზრი მაღაროელთა საზრუნავისა და საჭიროებათა შესახებ, უყურადღებოდ არ დარჩენილა არსებითად არც ერთი საარსებო მნიშვნელოვანი დარგი. გულისტკივილით ლაპარაკობდნენ შრომისა და წარმოების სუსტ ორგანიზაციაზე, ჩამორჩენილ ტექნიკურ დონეზე მთელ რიგ შახტებსა და ჭრილებში, სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მეტ ზრუნვას იჩენდნენ საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის.

ამავე დროს მეშახტეთა მისამართითაც გამოითქვა დასაბუთებული პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის კომისიებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების ერთობლივ გადაწყვეტილებებში განსაზღვრულ ურთიერთვალდებულებათა შესრულებასთან. მუშაობის შეფერხებების გამო ქვანახშირის მრეწველობამ მარტო მიმდინარე წლის 10 თვეში მომხმარებლებს დააკლო 14 მილიონ ტონამდე ქვანახშირი, მათ შორის მოსახლეობას — 1,2 მილიონი ტონა.

დაწყებული ზამთრის პირობებში მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ მეტალურგიის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის ბევრი საწარმო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, უწინარესად — ქვეყნის მთელი ჩრდილოეთის რაიონებისა.

მეშახტეთა გამოსვლებში გაისმა კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის დადგენილების ცალკეული დებულებანი მთლიანად და დროულად არ სრულდება. პრეტენზიები გამოითქვა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახმომარაგების, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიმართ.

ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მწვავე პრობლემების გადაჭრის გაჭიანურებასთან დაკავშირებით მოისმინეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ე. ი. ჩაზოვის ინფორმაცია, რომელმაც თავის გამოსვლაში ილაპარაკა კონკრეტული მოქმედების პროგრამაზე ქვანახშირის აუზებში, მათ შორის ყარაგანდაში, დონბასსა და კუზბასში ვითარების გაუმჯობესებისათვის.

უპასუხა რა რკინიგზების მუშაობის მწვავე კრიტიკას, სსრ კავშირის რკინიგზათა მინისტრმა ნ. ს. კონარევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ქვანახშირის, მაღაროთა ბიგების, მოწყობილობისა და მასალების გადაზიდვის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც საჭიროა შახტების ნორმალური მუშაობისათვის.

გამოსვლათა ზოგადი კრიტიკული განწყობის მიუხედავად, ბევრმა მეშახტემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ვითარების სტაბილიზაციასა და ქვანახშირის მეშახტეების რიტმული მუშაობის განახლებას. აღინიშნა, რომ, როცა მეშახტეთა მომწიფებულ სოციალურ პრობლემებს წყვეტენ, საჭიროა ჯეროვნად დააფასონ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელები, რომლებიც აგრეთვე განიცდიან საკმაო სიძნელეებს, მაგრამ იჩენენ თავშეკავებასა და მიწისქვეშ, ესმით იმ ექსტრემალურ პირობებში მომუშავე მეშახტეთა განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის გადიდებულ საშიშროებასთან.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა გამართული დიალოგი, რომლის შედეგად შემუშავებული იყო მოქმედების პროგრამა. მიზანშეწონილად ცნეს დააზუსტონ № 608 დადგენილების ცალკეული დებულებანი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ მასში შესწორებები. მიღებულია გადაწყვეტილება შეცვალონ ურთიერთვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის არსებული სისტემა, უფრო ღრმად დაამუშაონ ამ დადგენილების ზოგიერთი დებულება.

ამ მიზნით გადაწყვიტეს შექმნან რეგიონალური კომისიები, რომლებშიც შევლენ მთავრობის ადგილობრივი ორგანოებისა და მეშახტეთა შრომითი კოლექტივების სრულუფლებიანი წარმომადგენლები. მათი ძირითადი დანიშნულებაა კონტროლი გაუწიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, საგნობრივად და კომპლექსურად განიხილონ და გადაწყვიტონ თითოეული კონკრეტული ქვანახშირის აუზის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

ვითარების ნორმალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, შეიქმნება თუ არა ხელშემწყობი პირობები საწარმოების, რეგიონებისა და მთელი ქვეყნის მშვიდი მუშაობისათვის. საჭიროა, რომ ყველა წამოჭრილი პრობლემა წყდებოდეს კონსტრუქციული დიალოგის, ურთიერთმისაღები, რეალისტური გადაწყვეტილებების პოვნის გზით, მუშაობის შეუფერხებლად.

შეაჯამა რა შეხვედრის შედეგები, ნ. ი. რიჟკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა გაგებით ეკიდება მეშახტეთა საჭიროებებს. მთლიანად ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას, მთელ რიგ დასმულ საკითხებს პრინციპული პერსპექტიული ხასიათი აქვს. ეს ეხება დარგის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლას, შახტებისა და რეგიონების გადაყვანას სამეურნეო ანგარიშზე, ქვანახშირის საბითუმო ფასების შეცვლას, მაღაროელთა ქალაქებისა და დაბების კომპლექსურ განვითარებას. ყველა მათგანს განიხილავენ და მიიღებენ მათ გამო გადაწყვეტილებებს გულდასმითი დამუშავების შემდეგ იმ საერთო ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც რადიკალური ეკონომიკური რეფორმიდან გამომდინარეობს.

მეშახტეთა მიერ აღძრული პრობლემების მნიშვნელობის გათვალისწინებით გადაწყდა უახლოეს დროში განიხილონ ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ უპირველეს ამოცანებს, რომლებიც № 608 დადგენილებიდან გამომდინარეობს, გაზარდონ პერსონალური პასუხისმგებლობა ყველა ამ დავალების შესრულებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა მუშაობა განაგრძეს 18 ნოემბერს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტში, სხვა სამინისტროებსა და უწყებებში.

მეშახტეებთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, შახტებისა და გაერთიანებების დირექტორები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

(საქდესი).

დიდი მნიშვნელობის საქმე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა სასურსათო პროდუქტების წარმოების, დამზადების, შემოტანის, შენახვისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. მგელაძე.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების რიტმული უზრუნველყოფა სურსათსანოვაგით დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. მიმდინარე წლის ცუდმა ამინდმა დამღუპველი გავლენა მოახდინა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ამავე დროს, რესპუბლიკაში მიღებულმა ოპერატიულმა ზომებმა საშუალება მოგვცა მნიშვნელოვანწილად აღმოგვეფხვრა უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროდუქტის მწვავე დეფიციტი, შეგვექმნა მაღაზიებში ამ პროდუქტის მიწოდების მოწესრიგების პირობები. კერძოდ, შემუშავებულია საგარეუბნო და სხვა რაიონებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეუფერხებელი შემოტანის გრაფიკი, მოგვარებულია ტრანსპორტის მუშაობა, გაფართოვდა გაცვლითი ოპერაციები მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან. მაგალითად, ზამთრისათვის შესანახად 46 ათასი ტონის ნაცვლად უკვე შემოტანილია 50,1 ათასი ტონა კარტოფილი და 16,2 ათასი ტონა ხახვი. ამავე დროს, უნდა დაჩქარდეს ნივრის, სტაფილოს, კომბოსტოს, ჭარხლის და ხილის შენახვა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, აქ დასახული გეგმების შესრულების ყველა პირობა არის.

გააანალიზეს რა საქმის ვითარება, სხდომის მონაწილეებმა — რესპუბლიკის სახაგრომრეწვის და ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს, სხვა სამინისტროებისა და უწყების პასუხისმგებელმა მუშაკებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოსავლის დროული მიღება და გაგზავნა. მისი გეგმაზომიერი განაწილება ბაზებსა და საცავებში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახლახან ტრანსპორტის მუშაობის შეფერხების გამო, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ზოგიერთი სახეობის სურსათზე. მაგალითად, თბილისში, იმ დღეებში მარტო ფქვილი ყოველდღიურად დაახლოებით 220 ტონა საღდებოდა. ახლა მდგომარეობა სტაბილური გახდა და ფქვილი იყიდება ნორმის ფარგლებში — დღეში 60-დან 64 ტონამდე. ეს ეხება ისეთ პროდუქტებსაც, როგორიც არის მარილი, ბურღული, ბრინჯი, ზეთი, აგრეთვე ასანთი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს დაევალა სახაგრომრეწვთან ერთად მიიღოს რესპუბლიკის დედაქალაქში ბოსტნეულის კონსერვების, წვენების, აგრეთვე შამპანურის, ღვინო-არყის და სხვა ნაწარმის შემოტანის მოცულობის გაზრდის ზომები, პურპროდუქტების სამინისტროს კი — უზრუნველყოს 300 ტონა ბრინჯის მოწოდება.

უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა დატვირთული ვაგონების დაგროვება თბილისის სადგურებში. მაგალითად, სასწრაფოდ უნდა დაიცალოს კომბოსტოთი დატვირთული 27 ვაგონი, კარტოფილით დატვირთული — 83, სხვადასხვა სურსათით დატვირთული ათობით ვაგონი. ამასთან დაკავშირებით დაისახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

დაისვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა. როგორც იტყობინებოდნენ, უკანასკნელ ხანს იყო რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონიდან ნიტრატების გადიდებული შემცველობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანის შემთხვევები. სამუშაო ჯგუფმა კატეგორიულად მოითხოვა წესრიგის დამყარება, მომწოდებლებისათვის უხარისხო პროდუქციის დაბრუნება.

სხდომაზე ითქვა, რომ დღეისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ტარის პრობლემა. მისი ნაკლებობა, მაგალითად, დაეტყო მზესუმზირას ზეთის, ზოგიერთი სხვა პროდუქტის შემოტანას. იმათ, ვისზეც დამოკიდებულია ამ საკითხის გადაწყვეტა, წინადადება მიეცათ მოკლე ვადაში აღმოფხვრან შეფერხება.

განიხილა რა ციტრუსებით მომარაგების საკითხები, სხდომამ აღნიშნა სამრეწველო ცენტრების, კერძოდ, თბილისის ციტრუსებით უზრუნველყოფის დიდი მნიშვნელობა. მოუსავლიანობის მიუხედავად, გადაწყდა თბილისელებს ჩვეულებრივი ნორმის ფარგლებში გაუგზავნონ ციტრუსები — დაახლოებით ექვსი ათასი ტონა.

რაც შეეხება თევზისა და თევზეულის ვაჭრობას, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა შეისწავლოს ეს პრობლემა და დასახოს მისი გადაჭრის ღონისძიებანი.

რესპუბლიკის სურსათით უზრუნველყოფის დამატებითი წყაროების ძებნისას, სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გაცვლითი ოპერაციების ფართო გამოყენება. დადებითად აღიქვეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბელორუსია მზად არის ციტრუსის სანაცვლოდ მოგვაწოდოს 400 ტონა კარაქი. ანალოგიური ხელსაყრელი ოპერაციები უნდა ვეძებოთ ხორცის, სხვა დეფიციტური პროდუქტების გაცვლისთვისაც, დაასკვნეს სხდომაზე.

სამუშაო ჯგუფმა დასახა ფრინველის ხორცით და კვერცხით თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი. საქფრინველმრეწვის ხელმძღვანელობას დაევალა ქალაქელებისათვის გასაყიდად შემოიტანონ აგრეთვე ცოცხალი ფრინველი. შემუშავებულია რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების სტაბილიზაციის, საახალწლო ვაჭრობისათვის დროულად მომზადების სხვა პრაქტიკული ღონისძიებანიც.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

19 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. ბესმერტნიხმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველი ელჩი ჯ. მეტლოკი და მას განუცხადა შემდეგი.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო რეზოლუცია მთიანი ყარაბაღის საკითხზე.

ამ ოფიციალურ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია „პრეტენზიები" და „მოთხოვნები" საბჭოთა მხარისადმი, არის უცერემონიო ცდა მიუთითოს მას, თუ როგორ უნდა გადაიჭრას, ამერიკის ხელისუფალთა აზრით, ეს ნამდვილად საშინაო პრობლემა. არსებითად ამერიკელი კანონმდებლები ცდილობენ თავს მოახვიონ მოქმედების წესი სხვა სახელმწიფოს სუვერენულ ხალხებს.

სენატის კომისიის ასეთ გადაწყვეტილებას საბჭოთა მოქალაქეების მწვავე რეაქცია მოჰყვა, და ამ აღშფოთების გაგება ძნელი არ არის. კარგად არის ცნობილი, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ იქ აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხების წარმომადგენლები, რესპუბლიკური და ცენტრალური ხელისუფალნი, რათა მოაწესრიგონ კონფლიქტური სიტუაცია მთიან ყარაბაღში, რომლის გადაწყვეტა გულისხმობს განსაკუთრებულ დელიკატურ და პასუხისმგებლურ მიდგომას, მოითხოვს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას.

ამ პირობებში უხეში და გაუმართლებელი ჩარევა არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, არამედ შეიძლება პროვოკაციულად გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, ადამიანთა ახალი ტანჯვა-ვაება ამ მომენტში, როცა დაისახა მთიან ყარაბაღში სიტუაციის მოწესრიგების ტენდენცია.

ამ წამქეზებლურ აქციას სხვაგვარად ვერ მივიჩნევთ, თუ არა „ცივი ომის" რეციდივს, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჩვენი ორი ქვეყნის მეცადინეობას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის კონსტრუქციული განვითარების უზრუნველყოფას რომ ისახავს მიზნად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებული აქვს მტკიცე პროტესტი განუცხადოს ამერიკის მხარეს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის აღნიშნულ ცდასთან დაკავშირებით.

პრემიები — ქართველ კინოკრიტიკოსებს

გადაწყდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პრემიები 1988 წელს კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის.

საუკეთესო წიგნისათვის პრემია მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს **მარინე ნანეიშვილს** „სატელევიზიო ნოველისათვის", (გამომცემლობა „ისკუსტვო", მოსკოვი).

კინოკრიტიკის დარგში საუკეთესო ნამუშევრისათვის პირველი პრემიით აღინიშნა ჟურნალისტ **ზურაბ აბაშიძის** მასალები „თამაშის ფილოსოფია" და „ჩანაფიქრის რეალიზაციის რთული გზა" (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" № 4 და № 10).

მეორე და მესამე პრემიები გაუნაწილდათ კინომცოდნეებს **ნენო ოჩიაურს** ჟურნალ „ახალ ფილმებში" გამოქვეყნებული ქართველ კინომსახიობთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილებისათვის და **ლია კალანდარიშვილს** წერილში „ჩანაფიქრი და მხატვრული ფორმა" — კინორეჟისურის მნიშვნელოვანი პრობლემების თეორიული დამუშავებისათვის (ალმანახი „კინო").

(საქინფორმი).

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

მეცნიერის ღვაწლი

ქართული ქიმიის სიამაყე

აკაკი გახოკიძეს ბედმა არგუნა საქართველოში ქიმიის ერთ-ერთი ახალი დარგის — ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის ფუძემდებელი გამხდარიყო. მუშაობა ამ მიმართულებით ფაქტობრივად ერთ ძირითად მიზანს ისახავს. ეს არის მშობლიური ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესწავლა.

ეს მიზანი პროფესორმა გახოკიძემ, შეიძლება ითქვას, წარმატებით შეასრულა. მან ბუნებრივ ნაერთთა კვლევის სფეროში მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სწავლულს დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირში ნახშირწყლების ქიმიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ნახშირწყლების ქიმია პრინციპულად ახალი დარგის — ბიოორგანული ქიმიის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ნახშირწყლები, რომლებიც არაორგანული ნივთიერებებისაგან — ნახშირორჟანგისა და წყლისაგან მზის ენერგიის საშუალებით ფოტოსინთეზის შედეგად წარმოიქმნება, დასაბამს აძლევს სასიცოცხლო პროცესებს ჩვენს პლანეტაზე. მათგან წარმოსდგება მთელი ორგანული სამყარო. უდიდეს როლს ასრულებს ნახშირწყლები აგრეთვე სახალხო მეურნეობასა და მედიცინაში. მისგან მიიღება ქაღალდი, კინოფოტო პირები, მაღალი ხარისხის ქსოვილები (მაგალითად, აბრეშუმი), უნიკალური თვისებების მქონე პოლიმერული მასალები, სამკურნალო პრეპარატები... ნახშირწყლები და მათი მრავალრიცხოვანი გარდაქმნები კვების მრეწველობისა და ბიოტექნოლოგიის საფუძველია.

დიდია ჩვენი თანამემამულის როლი ნახშირწყლების კვლევაში. ერთ-ერთ ქიმიურ მოვლენას უცხოელმა სწავლულებმა, მაგალითად, მისი აღმომჩენის პატივსაცემად, პროფესორ გახოკიძის სახელი მიანიჭეს, რაც ქართული მეცნიერების საერთაშორისო აღიარებაა. „გახოკიძის სინთეზის" საშუალებით შესაძლებელი გახდა ახალი ტიპის ნახშირწყლების მიღება. შემდგომში ამ კლასის ნაერთები ზოგიერთ ცოცხალ ორგანიზმში აღმოაჩინეს. მათ შესწავლას ავთვისებიან სიმსივნეთა საწინააღმდეგო მაღალი აქტიურობისა და სხვა სასარგებლო თვისებების გამო, ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა. საინტერესოდ იყენებენ მას მედიცინასა და მრეწველობაში.

ა. გახოკიძემ დაამუშავა დისაქარიდების მიღებისა და სტრუქტურის დადგენის ორიგინალური მეთოდები, შეისწავლა ნახშირწყლების იზომერიზაციის საკითხები, დაამუშავა ლიმონმჟავის და სხვა ოქსიმჟავათა მიღების მეთოდები.

აღსანიშნავია აკაკი გახოკიძის გამოკვლევები ბიოქიმიასა და ნავთობის ქიმიაში. მან მცენარეებიდან გამოჰყო ზოგიერთი ბუნებრივი პიგმენტი (აკრამერინი, ოლმელინი), დაადგინა აღნაგობა და დაამუშავა მათი სინთეზის მეთოდები; წამოაყენა ბუნებრივ პირობებში ორგანულ მჟავათა წარმოქმნის ორიგინალური თეორია, რაც მრავალრიცხოვანი საკუთარი ექსპერიმენტული მონაცემებით დაადასტურა.

პროფესორმა ა. გახოკიძემ პირველმა დაიწყო საქართველოს ნავთობათა შესწავლა, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მან ორიგინალური სიტყვა თქვა ნავთობის წარმოშობის დარგშიც. გვიჩვენა, რომ ნახშირწყლების ტრანსფორმაცია ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნის გარდა შესაძლებელია მცენარეული მასალის გეოლოგიური მეტამორფოზითაც. მან წამოაყენა ორიგინალური მოსაზრება ნახშირწყლებიდან ნავთობის წარმოშობის შესახებ, რაც მხოლოდ ახლახანს, 40 წლის შემდეგ ექსპერიმენტულად დაამტკიცეს კანადელმა მეცნიერებმა. აღმოჩენილია მიკროორგანიზმები, რომლებიც ბუნებაში ნახშირწყლებს ნავთობად გარდაქმნის. ა. გახოკიძემ გლუკოზიდან პირველმა მიიღო ბენზინის შემადგენელი კომპონენტი — იზოოქტანი. ამ გამოკვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მომავალში ენერგეტიკული დანიშნულების პროდუქტების მისაღებად.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება ამ მეცნიერის ღვაწლი, დამსახურება და ადგილი ქართულ მეცნიერებაში. მაგრამ მხოლოდ ამით როდი ამოიწურება მისი მოღვაწეობა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურნეობის ნარჩენების უტილიზაციის საკითხებსაც. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნარჩენებისაგან (მზესუმზირის ჩენჩო, ტუნგოს და ბამბის კოპტონი, ჩალისა და სიმინდის ნარჩენები) გამოჰყო საღებავი და ორგანული მჟავა — ტრიოქსიგლუტარის მჟავა, რომელიც ფარმაცევტულ, საფეიქრო და ტყავის წარმოებაში გამოიყენება, დაადგინა საქართველოს სხვადასხვა რაიონის თამბაქოს ნარჩენებიდან ლიმონმჟავას წარმოების შესაძლებლობა. ა. გახოკიძე იყო აგრეთვე ერთ-ერთი წამომწყები კვლევისა ბუნებრივი ნაერთების ჟანგვის პროდუქტების საფუძველზე ხელატების მიღების ხაზით. ეს ნაერთები ამჟამად წარმატებით გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

ა. გახოკიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაშიც. მან მიიღო სტრეპტოციდისა და ასპირინის წყალში ხსნადი ფორმები. პირველმა გამოიყენა ნახშირწყლები სხვადასხვა წამლის ტოქსიკურობის შემცირების და მათი მოქმედების აქტიურობის გაზრდის მიზნით. შემდგომში ამ მიმართულებამ ფართო გამოყენება პოვა ფარმაცევტულ და სამედიცინო გამოკვლევებში.

პროფესორ ა. გახოკიძის ფუნდამენტურ გამოკვლევებს საერთაშორისო აღიარება აქვს. მისი შრომები აღნიშნულია საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში.

დიდია ა. გახოკიძის ღვაწლი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნაში. მან გამოსცა ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელოები, არაორგანული, ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის პრაქტიკუმები და მეთოდიკური ხასიათის წიგნები. გამოსაცემად გაამზადა ქიმიური ტექნოლოგიის სახელმძღვანელო, მონოგრაფია „ნახშირწყლების აღნაგობა" და ნახშირწყლების ვრცელი ორიგინალური ცნობარი ექვს ტომად, სამწუხაროდ, მათ გამოცემას ვეღარ მოესწრო — ორმოცდათხუთმეტი წლისა გამოეთხოვა საყვარელ საქმეს, სიცოცხლეს, რომელიც ესოდენ ნაყოფიერი იყო. ოცდახუთი წელია იგი ჩვენს გვერდით აღარ არის. რაც დრო გადის სულ უფრო მეტ აღიარებას იძენს მისი გამოკვლევები, რაზეც მეტყველებს მეცნიერის შრომების საერთაშორისო ციტირების დიდი ინდექსი.

თავმდაბალი, ღრმა მოქალაქეობრივი შეგნების, კეთილშობილი ბუნებისა და იშვიათი ნიჭის მეცნიერი, პროფესორი აკაკი გახოკიძე იმ ჭეშმარიტ მამულიშვილთ ეკუთვნოდა, რომლებიც საქმით, მხოლოდ საქმით ემსახურებოდნენ ერს, თავის პიროვნებით სამაგალითო იყო გარშემო მყოფთათვის.

ლეონიდე მელიქაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ეთერ ქემერტელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
20 ნოემბერი

● პაკისტანი

პრემიერი ადასტურებს

ისლამაბადი. პაკისტანის მთავრობის განზრახვა ხელი შეუწყოს უახლოეს დროში სამშობლოში რამდენიმე საბჭოთა მოსამსახურის დაბრუნებას, რომლებიც დაატყვევა ავღანეთის შეიარაღებულმა ოპოზიციამ, დაადასტურა პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ბენაზირ ბჰუტომ. მან გაზეთ „ნეიშნისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეგრეთ წოდებული მოჯაჰედების „გარდამავალი მთავრობა" გაათავისუფლებს საბჭოთა სამხედრო ტყვეებს ჰუმანური ჟესტის ფარგლებში. პრემიერის თქმით, ამ კვირაში პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება საბჭოთა წარმომადგენლებისა და ავღანეთის შეიარაღებული ოპოზიციის დელეგაციის შეხვედრა. თუმცა ბ. ბჰუტოს არ დაუსახელებია განთავისუფლების კონკრეტული დღე.

„ნეიშნის" მონაცემებით, ნავარაუდევია სულ ცოტა ორი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის დაბრუნება. მოჯაჰედების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ განიხილეს ორი-სამი დატყვევებული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის განთავისუფლების საკითხი.

საიდუმლო ოპერაცია

სან-ფრანცისკო. „ბუშის ადმინისტრაციამ კონგრესის ფარული მოწონებით დაიწყო ახალი საიდუმლო ოპერაცია პანამის ხელმძღვანელის ნორიეგას დასამხობად. იგი ითვალისწინებს „დიდი რისკის" ტაქტიკის გამოყენებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს მისი დაჭერა ან სიკვდილი", — იუწყება გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი", რომელიც იმოწმებს ცნობებს „ინფორმირებული წყაროებიდან".

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, ნათქვამია ცნობაში, მიიღო სანქცია თავდაპირველად დახარჯოს 3 მილიონი დოლარი პანამის არმიის ოფიცერთა, ანდა პოლიტიკური ოპოზიციის სხვა დისიდენტების შეკრებისათვის სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად.

„ეს არის ნორიეგას დამხობის დაუბრკოლებელი ცდა. და ჩვენ როცა ამაზე მივდივართ, გვესმის, რომ ამას შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს", — მოჰყავს გაზეთს ერთ-ერთი „ინფორმირებული პირის" სიტყვები.

◆ აშშ

იძულებითი შეზღუდვა

ნიუ-იორკი. „თხუთმეტი წლის წინათ შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირს განუცხადა, რომ მას არ უნდა ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობის დამყარების და შეერთებულ შტატებთან ვაჭრობის საგრძნობი გაფართოების იმედი, სანამ არ დართავს ნებას, რაც შეიძლება მეტ საბჭოთა ებრაელს სურვილისამებრ გაემგზავროს ნებისმიერ ქვეყანაში. და აი როცა მიხეილ გორბაჩოვმა მთლიანად დააკმაყოფილა ამერიკის მოთხოვნა, შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყო ქვეყანაში ჩასვლის მსურველი საბჭოთა ებრაელების რიცხვის მკვეთრი შემცირება. ეს პოლიტიკური ირონიით აღსავსე პარადოქსია" — ასე განმარტავს გაზეთი „ფილადელფია ინკუაირერი" ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას შეზღუდოს შეერთებულ შტატებში იმიგრანტთა ნაკადი, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით სსრ კავშირიდან გამგზავრება გადაწყვიტეს.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონმა შემოიღო ლოდინის 6-თვიანი ვადა საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შეერთებულ შტატებში ნათესავები არა ჰყავთ, და გაუუქმა მათ ლტოლვილის სტატუსი. ადმინისტრაციამ დააწესა აგრეთვე საბჭოთა ლტოლვილთა მომავალი წლის ლიმიტი 50 ათასი კაცის ოდენობით. ეს ნაბიჯი, წერს გაზეთი, იმით აიხსნება, რომ ამერიკის მხარის ხარჯები საბჭოთა კავშირიდან წასული თითოეული ებრაელის გადაყვანისა და დაბინავებისათვის 7 ათას დოლარს შეადგენს, ხოლო ფედერალური მთავრობა საბიუჯეტო სახსრების მწვავე ნაკლებობას განიცდის.

ფოტოინფორმაცია

⊙ მაინის ფრანკფურტში (გფრ) გამართულ ავტომანქანების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა, წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომანქანების სერიული და პერსპექტიული მოდელები. მასში მონაწილეობდა 36 ქვეყნის 2000-მდე ფირმა. ავტოსალონის მრავალი ექსპონატის მთავარი მახასიათებლები იყო სიჩქარე და ეკონომიურობა, კომფორტულობა და ტექნიკური სრულყოფა, საუცხოო დიზაინი.

◆◆

სურათზე: დასავლეთგერმანული ფირმის „ფოლკსვაგენის" სენსაციური სიახლე სახელად „ფუტურა", რომლის კარები ფრთებივით იშლება.

დპა-საქდესის ფოტო.

ზამთარმა შემოგვიტია

ზესტაფონი. ჯერ ხეებს ფოთოლიც არ გასცვენოდა, ზესტაფონსა და მის სოფლებში ბარაქიანად რომ მოთოვა. თოვლმა დაამტვრია ხეები, ჩახერგა გზები, გათიშა ელექტროგადამცემი ხაზები, გაწყდა სატელეფონო კავშირი. თბილისის და ქუთაისის მიმართულებით შეფერხდა საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მიმოსვლა. არ დადიან ავტობუსები დილიკაურის, ალავერდის, ფუთის, საზანოს და სხვა სოფლების მიმართულებით.

ხარაგაული. 19 ნოემბერს მოსულმა თოვლმა თანდათან მთიდან ბარისაკენ გადმოინაცვლა.

მთელი დღე და ღამე თოვდა. დილით თოვლის სიმაღლე 80-სმ-ს აღემატებოდა, ხოლო ბოფელ წიფასა და რიკოთის უღელტეხილზე — მეტრს გადააჭარბა. ნესტიანმა, მძიმე თოვლმა დაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზების ოცდახუთი პროცენტი. შეწყდა სოფლებში ელექტროენერგიის მიწოდება და სატელეფონო კავშირი. შეფერხდა ავტომობილების მიმოსვლა რიკოთის უღელტეხილზე, დროებით გაჩერდა რკინიგზის ტრანსპორტიც.

პარტიის რაიკომში შეიქმნა ოპერატიული შტაბი და ბრიგადები, რომელთაც დაევალათ ელექტრო და სატელეფონო ხაზების აღდგენა. გამოიყო სპეციალური ტრანსპორტი პურითა და სურსათით მოსახლეობის მოსამარაგებლად. რიკოთის უღელტეხილზე მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ თოვლსაწმენდები. იგვიანებენ მატარებლები.

მიუხედავად იმისა, რომ გადაუღებლად თოვს, დაძლეულია მთელი რიგი შეფერხებები, რაიონის სკოლებში სწავლა გრძელდება, მუშაობს თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო.

ჰენრიხ შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ყველგან, დღისით ზოგან თოვლი, გურიისა და აჭარის მთებში მოსალოდნელია ზვავები, დასავლეთის ქარი 6-11 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 4-9, მთებში 2-7, მაღალმთიანეთში —3 +2 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ღამით მცირე თოვლი, ჯვრის უღელტეხილზე მოსალოდნელია ზვავები, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 3-8, შიდა ქართლში 1-6 გრადუსი სითბო, მთაში —2 +3, მაღალმთიანეთში 2-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით მცირე თოვლი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — 5-7 გრადუსი სითბო.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ბელგრადში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი. მეხუთე ტურში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა შავი ფიგურებით დაამარცხა იუგოსლავი ლუბომირ ლუბოევიჩი და 4 ქულით კვლავ დაწინაურდა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იან ელვესტი და არტურ იუსუპოვი. ელვესტმა ინგლისელი ნაიჯელ შორტი დაამარცხა, იუსუპოვმა — ბრანკო დამლიანოვიჩი (იუგოსლავია). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ზდენკო კოზული (იუგოსლავია) — იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია)— 0:1, იან ტიმანი (ჰოლანდია) — პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) 0,5:0,5. შორტსა და ჰიარტარსონს 3-3 ქულა აქვთ, ნიკოლიჩს — 2,5, ააგდესტეინსი, ლუბოევიჩსა და დამლიანოვიჩს — 2-2, პოპოვიჩს — 0,5, კოზულს — 0.

ხელბურთი. შტუტგარტის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველ ტურში საბჭოთა ხელბურთელებმა ანგარიშით 28:23 დაამარცხეს მასპინძელთა გუნდი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აგრეთვე გდრ-ს, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, რუმინეთის და შვეციის ხელბურთელები.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — სამშაბათი, 21 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.15 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.45 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.35 — „მშვიდობის ხის ფესტივალი" (ნაწილი მეორე). 18.20 — ქართული სპორტის მატიანე. 19.00 — განცხადებები. 19.05 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.30 — „მე მჯერა თქვენი, ექიმო!". 20.00 — მოამბე. 20.35 — „ვერტიკალი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „კარიერი".

მეორე პროგრამა. 12.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედი ჩემი". III სერია, 15.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.15 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 20.00 — მოამბე. 20.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროგრამა.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მულტფილმები. 10.00 — ფილმ-სპექტაკლი. 12.40 — „ეს იყო... იყო...". 13.00 — ბავშვის საათი (ფრანგული ენის გაკვეთილითურთ). 16.35 — საბავშვო ფილმი „კამილა". II სერია. 17.40 — დოკუმენტური ფილმები. 18.25 — XVIII საუკუნის მუსიკა. 19.10 — ობიექტივი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „პაკისტანი": „სალვთო ომის" ფასი". 21.05 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი „სიტყვა". I ნაწილი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი „სიტყვა". II ნაწილი. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.35 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი „სიტყვა". III ნაწილი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — ალმანახი „ბუნების საიდუმლოებანი". 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VIII კლასი. 10.05 და 11.05 — ფრანგული ენა. 11.35 და 12.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 12.05 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ფილმი „კოლეგიის რეგისტრატორი". 14.40 — დოკუმენტური ტელეფილმები. 15.40 — ფილმ-კონცერტი. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ჯამაიკა". II სერია. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო!".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 06434 უე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14